

საქართველო
1899

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეა.
№ 7 თ ბ ე რ ვ ა ლ ი 14 1899 წ. № 7

შინაარსი: თფილისის თვით-მართველობა ნ. უორდანიასი. — სხვა და-სხვა ამბები. — „გველის“ კორესპონდენციები. — საზღვარ-გარეთ. — რუმენა, იმედი და სიყვარული, ლექსი გ. გოგოლაძისა. — ჩვენი სახიობა მაზაკვალისა. — პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა. — ხმა შორიდან ნ. ლაზისა. — ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა 1898 წ. (დასასრული) ივ. გომართელისა. — საქველ-მოქმედო საქმე. — უცხო სიტყვების ახსნა და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

გამოვიდა „ჯეჯილის“ პრემია ალბომი „ბუნება სურათებში“, რომელიც დაურთდება 1898 წლის „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს უფასოთ, ვისაც კი ხელმოსაწერი ფასი სრულიად შემოუტანიათ.

თფილისის თვითმართველობა.
I.

თამარ ღვთისმშობლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კმალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

წვენი ცხოვრება რაც უფრო ვითარდება, წინ მიდის და სხვაფერდება, საზოგადო ასპარეზიც მით უფრო ფართოვდება, რთულდება და მისი გაგება ძნელდება. ახალმა დრომ რომ ახალი კითხვები წამოაყენა — ეს თითქმის ყველას ჯერა, ხოლო მათი ახსნა და გარკვევა დიდ თავსახეთქ საგნათ გამხდარა. ისინი, ვინც წინეთ საზოგადო ინტერესებისათვის ბრძოლას შეეჩვივნ, მეცადინეობენ იბრძოლონ დღესაც, იმ განსხვავებით, რომ მათი დღევანდელი ბრძოლა ერთი საშინელი გაუგებრობაა და მეტი არაფერი. წარმოიდგინეთ შუაგულ ოკეანეში დღევანე ნაჩვევი მენავე თავისი ნაჯახ-ამოჩივნილი ნავით. ის მეცადინეობს გზა გაიგნოს, ნაპირზე მშვიდობით გავიდეს, მარა რომელია ეს გზა, საით არის ეს ნაპირი, იმან სრულებით არ იცის, მაზე დაახლოვებული წარმოდგენაც არ აქვს და ასე იძულებულია ზღვის ტალღებს ხან ზევით აჰყვეს და ხან ქვევით ჩამოჰყვეს. მისი შრომა, მისი ძალ-ღონე და მუყაითობა ამ აზვირთებულ

მ. ს. ჩაგლაძემ კალთა საზოგადოების სკოლაში (ნაგორნისა და გუდოვიჩის ქუჩების კუთხე, № 12), შეიძლება კიდევ მიღება ყმაწვილებისა, როგორც საზოგადოთ სკოლაში, აკრეთვე ქართულ და სამხურ განყოფილებებში. ფასი სწავლისა ამ უკანასკნელ განყოფილებებში არის თვეში 6 მან.
(5—2)

მორევში ტყვილ-უბრალოთ იკარგება, ვერც ერთი მისი დაწყობილობა მიზანს ვერ წვდება. აი, ეს ოკეანე გახლავს დღეს ჩვენი ცხოვრება და ეს მენავე ჩვენი მსცოვანი მწერლები. ზოგი მათგანი ბრძოლის ვეზზე დღესაც გამოკიშულა, მეთაურობას და ხელმძღვანელობას დღესაც ჩემოვს, მარა მათი ფარ-ხმალი მეტათ დაქანგულა, მათი სიტყვა-პასუხი მეტათ გაცვეთილა, მათი გზა-კვალი მეტათ აბნეულა. და სიმაართლე გოხრათ, დასაბნევი საგანი ერთობ ბევრი გვაქვს. ამ საგანთა შორის თვალსაჩინო ალაგი, უეჭველია, ქალაქთა მართვა-გამგეობას უჭირავს. განსაკუთრებით, მას შემდეგ რაც თფილისის თვით-მართველობას სომხობა დეპატრონა—ეს საკანც გაიზარდა, გამწვავდა და საზოგადოების ყურადღებას მიიქცია. უცებ ცხოვრების ზედა პარზე ამოცოცდა ის, რასაც ვერც ერთი ჩვენი პოლეწე ვერ ამჩნევდა, რასაც ყველა მაღაედა, ხელს აფარებდა და უარყოფდა. აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა ისინი ბანკის ყუთებთან ერთმანერთს თავს უხეტქდენ, ერთი ღრმა და მძლავრი მიმდინარეობა შემუშავებულა და ლამის არის მთელი ჩვენი ურთიერთობა თან გაიტანოს. ეს ახალ-აღორძინებული ბუმბერაზი გახლავს ანტაგონიზმი, ანუ ინტერესთა წინააღმდეგობა აქ მცხოვრებ ერთა შორის. ნაციონალური განხეთქილება, რასაც ბ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1893 წ. წყალ წაღებულის ხაგს უწოდებდა („Нов. Об.“ 15 მაისს ა.), საზოგადო ცხოვრების ერთ დიდ ღერძათ გადაიქცა. შეერთება ყველა შთამომავლობის და ხალხოსნობის ადგილობრივ მოღვაწეთა ქვეყნის საკეთილდღეოთ, რასაც იგივე ნიკოლაძე თავის მოქმედების ჩარხათ აღიარებდა ¹⁾—მიუწვდომელ ოცნებათ შეიქმნა. მეტაურთა იდეალი, იდეალი წესიერების და თანხმობის, ცხოვრების უღმრთებელმა კანონმა ერთიანათ დაამსხვრია და მისი მოტრფიალენიც აქეთ იქათ გადატყარცნა. ინტელიგენტური ოცნების ალაგას ჩადგა ხალხის ნამდვილი მოქმედება, მთელი თავისი „არა-ინტელიგენტური“ მოთხოვნილებით. წინ წაწყული ერის გამძლავრებული და გამდიდრებული ნაწილი — ბურჟუაზია—ველარ დაეღია ძველ ვიწრო, ღარიბულ კალაპატში და მეტი პატივი და უფლება მოითხოვა. და ის-ის იყო თფილისის საბჭოდან ოცნების ხალხი გამოჰყარეს და შიგ „საქმის“ ხალხი გაბატონდა. და ეს საქმის ხალხი მოგხსენებათ სომხის ბურჟუაზიაა. ახლა კი ყურიდან ბამბა გამოიღეს, თვალებიც გამა-

ჰყიტეს და ნამძინარევი ხმით გადმოიძახეს: „მეტირს, ეს რა მომხდარა, აქ რალაც ამბავი უნდა იყოსო. ის, ეინც წინეთ ნაციონალურ ბრძოლას უფრთხოდა, უყიდურეს ნაციონალისტათ გამოვიდა. გაიმართა ბრძოლა, ატყდა ხმაურობა, გაჩაღდა ერთმანერთის დევნა და მტრობა—ერთის სიტყვით მოხდა საერთო არეულობა. თითოეული ცდილობს მედროშეობა ხელში ეჭიროს და ბრძოლა მოიგოს. ამ მიზნის მისაღწევათ ის ქადავობს ისეთ აზრებს, რის, არა თუ თქმა, არამედ მოსმენაც კი წინეთ სათაკილოთ მიაჩნდა; შემოაქვს ისეთი პლანები და პროექტები, რ ს არა თუ განხორციელება, არამედ მოფიქრებაც წინეთ სამარცხვინოთ მიაჩნდა. და ასე მოდის პროექტი პროექტზე, პლანი პლანზე—ყველა ეს ჩვენდა საბედნიეროთ და სახსნელათ. ამ საქმეში ამ უკანასკნელ დროს ყველაზე უფრო თავი ისახელა ცნობილმა მოღვაწემ ბ. ნ. ნიკოლაძემ. ბ. ნიკოლაძე ნამდვილი პროექტის კაცია; თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში მას ძალიან ბევრი პროექტი შეუთხზავს და იმედია კიდევ ბევრს შეთხზავს. მარა ეს კია, რომ, ჩვენდა საბედნიეროთ თუ საუბედუროთ, იშვიათათ განხორციელებულა რომელიმე მათგანი. და ეს არც არას მისი მიზანი. მას სურს მხოლოთ პლანი შეადგინოს, რეცეპტი დაწეროს, საზოგადოება აალაპარაკოს. მან კარგათ იცის, რომ ხალხი ყველაზე უფრო იმას გაიკვირებს, რაც ყველაზე უფრო არა ჩვეულებრივი და ფანტასტიურია; დაწერეთ ზღაპარი და სიამოვნებით წაიკითხვენ, დაწერეთ სამეცნიერო გამოკვლევა და კუთხეში მიაგდებენ. და, აი, ბ. ნიკოლაძეც წერს საზღაპრო ამბებს და პროექტის სახელით ქვეყანას აშტერებს. ერთი ამგვარი სხვების გასაშტერებელი ნაწარმოება გახეთ „კავკაზის“ № 18 — 19 დაიბეჭდა და გაშტერებულნიც დიდი აღფრთოვანებით მიეკვებენ. ²⁾ ჩვენ ამ გაშტერებულთა ბრბოს არ ვეკუთენით და ამიტომ ვფიქრობთ ამ ახალ „თხზულებას“ საღი თვალით შევხედოთ. ეს „თხზულება“ შესანიშნავია არა მარტო თავისი ფანტასტიური პროექტით, არამედ თავისი კიდევ უფრო ფანტასტიური გასამართლებელი საბუთებით, რომელიც მას თან ახლავს და რომლიდანაც ის გამოდის. მაშ განვიხილოთ ჯერ ეს საბუთები და მერე თვით პროექტი.

ავტორი ამბობს: აქ მცხოვრებ ხალხთა შორის „წამოკეს ბრძოლა, რომელიც სამწყსაწოთ, სწულებით

1) „Вся наша цель, все наше честолюбие, весь наш идеаль — объединение всех друзей мирного развития края без различия рась, вѣрованийъ въ одной общей работъ“... ამბობს ბ. ნიკოლაძე იქვე.

2) ამ „გაშტერებულთა“ სახელები „ავერის“ და „კავკაზის“ მეტაურები გახლავს. ესენი თუ რამეს მოიწონებენ—ერთათ მოიწონებენ, დაიწუნებენ და ერთათ დაიწუნებენ. მაქა ეს კია, რომ ორივე საქმეში ყოველთვის ბ. კელინგო დასწრებს თავის მოკავშირეს.

აწ აწის გაწეს რეგულაციები აწ კანონის, აწ მთავრობის მიერ და ამიტომ პოლს უნდა დასრულდეს გაწესებულ ეროვნული სიძულვილით. (კურსივი ყოველგან ავტორისა). რომ ეს ბრძოლა ნაცოფიერი შეიქმნას, საქიროა ადგილობრივ დაწესებულებებმა, რომელნიც ადგილობრივ ცხოვრებას განაგებენ, თავის სახელმძღვანელოთ გაიხადონ: „КАЖДОМУ СВОЕ“ — „თითოეულს თავისი“; მოსამართლე, გამამჯნავე, პოლიცია და სხ. ხომ ამით ხელმძღვანელობს. მათი უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია კანონით. ასევე უნდა იყოს საზოგადო ასპარეზზედაც. „საქიროა საზოგადო ცხოვრების სარბიელი, საზოგადო კუთვნილება და საზოგადო მოღვაწეობა გამიჯნული იყოს კანონით“, რომ ყველას ინტერესი და კანონიერი უფლება დაცულ იქნასო. ერთი სიტყვით, ავტორის აზრით, ბრძოლა უნდა შესუსტდეს, მისი ასპარეზი შევიწროდეს, მე-ბრძოლი ჩარჩოში ჩაისვას, საზღვარი დაედვას, ბორკილი შევებას და ყველა ეს უნდა მოხდეს ძალით, ყარაულის შემწეობით, „კანონით“. ამით ბ. ნიკოლაძემ ბ. ველიჩკოს ერთობ ძალიან წინ გაასწრო ყარაულების ძებნაში. ის, რაც ამა ვერ თქვა, თუ არ თქვა—თქვა ჩვეულებრივი რიხით ბ. ნიკოლაძემ. დღემდის ყოველგან და ყოველთვის იმას მეცადინებდენ, რომ ბრძოლის ასპარეზი გაფართოვონ, თავისუფალი გზა შექმნან, დაბრკოლებები დალეწონ, ვინაიდან მხოლოდ ბრძოლის ველზე იწრთენება ადამიანი, მაგრდება კლასა და მათი დება ერთი. ჩვენც აგერ ახლა შედეგით ამ გზაზე, ჩვენც აგერ ახლა დავიწყეთ თვით-მოქმედება, თვით-მოძრაობა, მარა მოდიან ბ.ბ. ველიჩკო, ნიკოლაძე და კომპ. და გვიძახიან: შედეგით, ბრძოლა რა თქვენი საქმეა, ამას თქვენ მაგიერ სხვა, რომელიმე დაწესებულება, გასწევსო. ცოცხალ საქმეს ფარატირა ქალღს აფარებენ, ბრძოლის მაგიერ ხელში „სტატის“ გვაჩვენებენ, მოძრაობის მაგიერათ შეჩერებას გვიქადაგებენ, გამოღვიძებას მაგიერათ „ნანინას“ გვიგალობენ და ყველა ეს „კანონის ძალით“. ბიუროკრატთა იდეალი ამაზე უფრო შორს ველარ წავა. ბ. ნიკოლაძე გვეტყვის: მე ბრძოლას უარს არა ვყოფი, და საბუთათ მოიყვანს მის სიტყვებს: „პოლს რეგულაციები აწ ამ პოლსაში, აწ ამ მიდრეკელებაში, არამედ დაუწესებულსაში, რამ თითოეულს თავისი მიერქა“-ო. მარა ერთი მითხარით: თუ კი თითოეული დარწმუნებული იქნება, რომ „თავისი“ უთუოთ მიეცემა, რომელი გიჟი დაიწყებს ბრძოლას, ვინ შეეცდება შრომას და მუყაითობას. ალაპიანი იბრძვის სწორეთ იმიტომ, რომ არ იცის მიიღებს იმას, რაც იმას თავისათ მიაჩნია, თუ არა. და თუ კი ამას მას არ ააცილებენ, თუ კი მას ეს მზა-მზარეულათ მოეცლინება,

მაშ რალა დარჩენია მას გარდა იმისი, რომ ტანზე წამოწვეს, ხელები გულზე დაიკრიფოს, პირი გაალოს და იძახოს: ე, კანონო, მაჭამეო! აი, მაშინ დაეუბრუნდებით ლუარსაბ თათქარძის ხანას, იმ განსხვავებით, რომ პატივცემულ თავადს ყმები არჩენდა, ჩვენ კი „კანონმა“ უნდა გვარჩინოს...

საიდან წარმოდგება ასეთი საარაკო შეხედულება? რატომ უარს ყოფს დღეს ბრძოლას ის მოღვაწე, რომელიც მუდამ იბრძოდა, მუდამ ღელავდა, და ერთხელ საჯაროთ აღიარებდა: „მაშ ვისურვოთ, რომ მოახლოვებულ არჩევნებმა თფილისის მცხოვრებთა შორის გამოიწვიოს დიდათ ცრუსაფი და ცრუსა საჩჩვენო პოლსა და ამას რა შედეგით უნდა მოქვეყნსულ ეწთაო.“³⁾ (კურსივი ჩემია)

იმ კაცს, რომელიც ასე შეტრფოლა მოძრაობას, რა დემართა დღეს, რომ ასე უფრთხის მას? ამის მიზეზი განლავს თფილისის საარჩენო ასპარეზზე ბ. ნიკოლაძის და მისი პარტიის (ზოგი ქართველობა) დამარცხება და სომხობის გამარჯვება. აი, ამ ბრძოლის წაგებამ დაბადა ქართველ მეთაურთა შორის სასოწარკვეთილება, გულ-გატეხილობა და უიმედობა. ბ. ნიკოლაძეც სანამ საბჭოში იყო, ბრძოლას ქადაგებდა, ხოლო როცა გარეთ დაარჩინეს, ბრძოლას უარს ყოფს და ყარაულს იბარებს. ასეთი სულით დაცემა, ასეთი სულწასულობა შეორეც არ ვიცით. ეს გასათუთებულ ბავშმა იცის, როგორც კი ვინმე გააჯავრებს, დედასთან მირბის, მიშველვ, „გამლახესო“. ამ წესით მოქმედობს ბ. ნიკოლაძე და კომპ., როცა მიაგრობასთან მირბიან საჩივლელათ გვიშველვთ, „გავგლახესო“. ამასთანავე წარუდგენენ ხოლმე პროექტს, ამას თუ დაგვიკანონებ, ჩვენ გამლახველთა სვირს გაჩვენებთო. აი, აქედან იშვა ბ. ნიკოლაძის გასაშტერებელი პროექტი.

აი, ეს პროექტიც: თითოეულ ხალხოსნობას კანონით ნება მიეცეს თავის წარმომადგენლებათ ხმოსანთა იმდენი პროცენტი აირჩიოს, რამდენ პროცენტსაც ქალაქის მცხოვრებლებისას თვით ეს ერი შეადგენს. თითოეული ერის ხალხი ცალ-ცალკე იყრება და ირჩევს კანონის მიერ ბოძებულ რიცხვს ხმოსნებისას. დღეს თფილისის მცხოვრებთა უმრავლესობა სომხობაა, ხმოსანთა უმრავლესობაც მას ეკუთვნის. ქართველობა უმცირესობაა და საბჭოშიც უმცირესათ იქნება წარმოდგენილი. ამას ვწოდებ პრო-

3) „Такъ пожелаемъ, чтобы наступающіе выборы вызвали въ жизни тифлискаго населенія самую оживленную и горячую избирательную борьбу и это безразлично каковы бы ни были конечные результаты выборовъ“ („Нов. Обоз.“ 1893 г. 2 თებერვლის ნიკოლაძის ფელეონი.

პორციონალური წარმომადგენლობა ეროვნობის მიხედვით. და, აი, როცა ეს ასე იქნება, საბჭოც „ინტელიგენტთა თაიგულათ“ გადაიქცევა და ქალაქის ბედ-იღბალსაც სანეტარო დრო დაუფეხავს. ამას გარდა ამ „პრაპორციას“ ის თილისმური ძალაც ჰქონება, რომ ერთი დაკერით მოსპობს „უწყალო“ ნაციონალურ ბრძოლას! აეტორი მაინც ასე გვარწმუნებს და ნუ დავიჯერებთ? მაშ შევემოწმეთ ესეც: პირველათ, ბ. ნიკოლაძე ამ პროექტით თავის დამარცხებას აკანონებს. მართალია ის შედის საბჭოში, მარა არა თავისი ძალ-ღონით, არამედ „კანონით“.

მეორეთ, „პრაპორციის“ ძალით კანონდება: თფილისი სომხების ხელში უნდა იყოს, ე. ი. მთავრობის სანქცია ეძლევა იმას, რის შესახებ უფლა ქართველი ფიქრობს: თფილისი საქართველოს დედა ქალაქია, მის გარშემო ქართველი სოფლებია, მასზე ქართველობა უფროა დამოკიდებული, ვინემ სხვები და მაშასადამე მისი მართვა-გამგეობაც ქართველობას უნდა ეკუთვნოდესო. მარა ბ. ნიკოლაძე მას უსპობს ამ იმედს და ეუბნება; „შენი ფიქრი „კანონის“ წინააღმდეგიაო.“

მესამეთ, საარჩევნო ბრძოლა არის მხოლოდ შედეგი ეკონომიური ბრძოლისა; ის მხოლოდ გარეგანი მაჩვენებელია იმისი, რაც ცხოვრების სიღრმეში წარმოებს. „პრაპორცია“ უარსყოფს მხოლოდ პირველს, ხელ-უხლებლათ ტოვებს მეორეს; ის ამტკრეფს საათის ისარს, ხოლო მისი ტრიანლის მიზეზს, მექანიზმს, ისევე მიზეზათ არჩენს. თფილისის თვით-მართველობა მხოლოდ ბარომეტრია ჩვენი მოქალაქობრივი ურთი-ერთობისა. ის ჩვენ გვაგებებს ჩვენსავე მდგომარეობას და როცა მას სპობ ან ამრუდებ, ეს ნიშნავს არა ჩვენ დახმარებას, არამედ ჩვენი შეგნების დაბნელებას და გზა-კვალის აბნეევას. ჩვენ ჩვენი განვითარების მგრძნობიარე საზომს ხელიდან გვართმევენ და ამასთანავე გვაჯერებენ: ეს ასე გიჯობთო!

მეოთხეთ, პროპორციონალური წარმომადგენლობა არსებობს ევროპის ზოგიერთ კუთხეში, მაგ. შვეიცარიის ზოგ კანტონებში, მარა ეს არის პარტიობის მიხედვით და არა ეროვნობის. ამიტომ აქ ეს ბრძოლას არ აფერხებს, რადგანაც პარტიის რაოდენობა შეიძლება გამარაგლო ქადაგებით, წერით, მიტინგით და სხ., ერის გამრავლება კი ზდება თავის თავათ, და ბ. ნიკოლაძემ ათასი ფელეტონი რომ დაწეროს, ამით ჩვენ ერს ერთ კაცსაც ვერ მიუმატებს, ხოლო ერთ ათიოდე კონსერვატორს კი შექმნის. ცხადია, მისი „პრაპორცია“ ძართადათ განირჩევა ევროპის „პრაპორციისაგან“.

მეხუთეთ, ევროპაში პროპორციონალური არჩე-

ვანი წარმოებს არა თანახმათ პარტიის წევრთა გადლა რიცხვისა, არამედ თანახმათ იმ კენჭის რიცხვისა, რომელსაც თითოეული მათგანი მიიღებს. მაგ. ზოგ ალაგას კენჭის ყრის დროს კანდიდატების მაგიერათ დასახელებულია პარტიები, კონსერვატიული, რადიკალური, სოციალისტური და სხ. მეკენჭეც ერთ ერთს ემბრობა და მას აძლევს თეთრს. რომელი პარტია რამდენ ხმასაც მიიღებს, იმის შესაფერი პრაცენტი წარმომადგენლებისა ეყოლება. ბ. ნიკოლაძის პროექტით კი, წარმომადგენლობა უნდა განაწილდეს ერთა-შორის მათი რაოდენობის მიხედვით. ერთი რომ ყველა მცხოვრებს არჩევის უფლება არ აქვს. ქალს, ბავშს და მცირეწლოვანთ რომ თავი დავანებოთ, თვით სრულწლოვანთა შორისაც ეს უფლება მხოლოდ უმცირესობას — შეძლებულთ — აქვთ. მაშასადამე საარჩევნო დარბაზში, აი, ეს უმცირესობა შეიკრიბება რე თითონ აარჩევს ვითომ რე თავის ერის წარმომადგენლთ. ამით ეს მცირე ჯგუფი ბატონდება დანარჩენებზე რე ნაციონალური პირბადით შეუდგება თავის საკუთარი საქმეების კეთებას. ცხადია, ეს იქნება პროპორციონალური წარმომადგენლობა არა ერის ყველა წევრთა, არამედ ერის ყველა შეძლებულთა; ქართველის, სომხის და სხ. ბურჟუაზია გაბატონდება საბჭოში. ეს კიდევე ცოტაა. ცნობილია, რომ ყველა მეკენჭე ამ უფლებას არ ხმარობს; თვით გამწვავებული ბრძოლის დროს, როცა მეთაურები ცდილობენ არც ერთი თავის მომხრე ყუთებთან მიუყვანელი არ დატოვონ, მაშინაც კი თითქმის ნახევარი შინ იცდის. ხოლო როცა ეს წამახალისებელი ბრძოლა მოისპობა, როგორც ეს ბ. ნიკოლაძეს სურს, კენჭის ყრის დროს მეკენჭეთა კიდევე უფრო ნაკლები რიცხვი გამოცხადდება. საარჩევნო დარბაზში შეიკრიბებიან პირველ ყოვლისა თვით ხმონობის მაძიებელნი და მათი დამქმნი და ერთმანეთს აირჩევენ. ამ ნაირათ უმცირესობის უმცირესობა ხმონებს აირჩევს და მათ მთელი ერის წარმომადგენლათ გამოაცხადებს. ევროპის პროპორციონალური წარმომადგენლობა სწორეთ ასეთი უკუღმართობის წინააღმდეგ არის მიმართული. ბ. ნიკოლაძის „პრაპორცია“ კი ამ უკუღმართობას აკანონებს — და თანაც აღიარებს „ეს არის მეცნიერების უკანასკნელი დასკვნაო!“

მექექსეთ, თვით ერთი და იმავე ერის მეკენჭეთა შორის პარტიობა იქნება; უმრავლესობა რასაკვირველია თავისას გაიტანს და უმცირესობა დაიხარება. მაშასადამე კეშმართება აქაც „პრაპორციას“ მოითხოვს და იმედია, ბ. მეპროექტე ერთ „პრაპორციას“ მეორე პრაპორციასაც მოუმატებს და კიდევე ახალ პროექტს შეადგენს ამ სათაურით: პროექტი პროპორციონალური წარმომადგენლობის პროპორციონალური წარმომადგენლობისა...



ერთი სიტყვით ბ. ნიკოლაძის პროექტი გამოუდგვარია ყოველი მხრით; ის სპობს საარჩევნო ბრძოლას ერთა შორის, ის სპობს საარჩევნო ბრძოლას კლასთა შორის, ის კრებს თითოეული ერთიდან მხოლოდ შეძლებულ ნაწილთ და მათ აბარებს ქალაქთა ბედ-იღბალს. ამით ავტორის მიზანი—სამართლიანობის და ჭეშმარიტების დაცვა—ნამდვილათ უსამართლობის და ძალ-მომხრეობის დაცვისკენ მიიმართვის.

მაშ საით არის გასავალი? რა ნაირათ უნდა გაინხნას ეს საარჩევნო კენძი?

ნ. ჟორდანიას.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მთავარ მართებლის საბჭოს კრებაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდება, ლაპარაკი იქნება შავი ზღვის პირის გუბერნიაში რუსების დასახლების შესახებ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია, შავი ზღვის ნაპირას მიწები კიდევ დაურიგოს მუქთათ იმათ, ვისაც სურს იქ მეურნეობას მიჰყოფს ხელი.

მთავრობის განკარგულებით აკრძალულია გადასახადების დადება იმ მიწებზე, რომელსაც სოფლის საზოგადოება ეკლესიის კრებულს უთმობს.

ქალაქის გამგეობამ ნათლუხთან ახლოს მდებარე ქალაქის მიწები ნაკვეთებათ დაჭრა და იჯარით აძლევს მსურველთ. მსურველნი უკვე ბევრნი გამოცხადებულან და საქენში მანეთ ნახვერიდან სამან. იჯარას იძლევიან.

უმალღესათ დამტკიცებულ იქმნა „აქციონერული საზოგადოება ამიერკავკასიის მანუფაქტურის“, რომელსაც მიზნათ აქვს ამიერ კავკასიაში ფაბრიკების დახსნა მანუფაქტურული საქონლის დასამზადებლათ, საზოგადოებას ფულათ აქვს მილიონ ნახევარი მ.

განათლების მინისტრს დაუმტკიცებია წესდება ანანოვის საქალებო სასწავლებლისა, რომელიც ხელახლა უნდა დაარსდეს თფილისში. წესდების ძალით სასწავლებელში შეიდი წლის კურსსა, სომხურ ენას და სარწმუნოებას ყოველ კლასში რამდენიმე გაკვეთილი დაეთმობა. სკოლის სამეურნეო ნაწილი ჩაბარებული აქვს განსაკუთრებით სამზრუნველოს. ფიქრობენ, მომავალში ეს სასწავლებელი სრულ გემნაზიათ გადააკეთონ.

საქარას სანერგეში პირველი მარტიდან მიიღებენ მუშებს ვაზის ხელობის შესასწავლათ.

წელს ქალაქების, დაბების და „პოსადების“ უძრავ ქონებაზე შემდეგი გადასახადია გაწერილი: თფილისის გუბერნიაში 134,000 მან. ქუთაისისაში—63,000, შავიზღვის-პირისაში—6,000, ბაქოსაში—104,000 და სხ. ყველაზე მეტა თფილისის გუბერნიას ხელდება.

ყარსის რკინის გზაზე ფოსტა მიაქვთ უკვე სად. ყარაკლისამდე.

ამიერ-კავკასიაში ერთათ ერთი სტატისტიკური კომიტეტი იყო, რომელიც აგროვებდა ცნობებს ყველა გუბერნიიდან და ერთათ ამუშავებდა. ახლა როგორც ისმის ამ კომიტეტს აუქმებენ ღ მის მაგიერათ ყოველივე გუბერნიის სტატისტიკური ცნობები პირდაპირ პეტერბურლის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს უნდა გაეგზავნოს.

დღემდის ჩვენში ჯარის ბარგის გადატანა დავალებული ჰქონდათ მხოლოდ გლეხებს. ახლა ამიერ კავკასიის ერთ გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ეს მოვალეობა გლეხებს გარდა მემამულეთ და მოქალაქეთაც დაეკისროსო.

სოფ. ლანჩხუთის და ნიგოთის მცხოვრებთათხონის გამო, მიწათმოქმედების და გზათა მინისტრის ნებადართვით მთავარ-მართებელს დაუნიშნავს განსაკუთრებითი კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს რიონის მიმდინარეობის გაწეს-რიგების საქმე. მარა ეს შეეხება არა მხოლოდ ლანჩხუთელთა მიერ ნაჩვენებ ნაპირებს, არამედ საზოგადოთ რიონის ყველა ნაპირებს, საიდანაც კი წყალი გადმოდის და ენებას აძლევს როგორც საყანე ადგილებს, ისე რკინის გზასაც. ამიტომ ლანჩხუთლების თხოვნის განხილვა გადაუდევით მანამდის, სანამ ამ საქმის შესახებ საზოგადო ზომები არ იქნებიან გამოარკვეულნი. ამით ეს კითხვა უსაშველოთ გაჭიანურდება და მის გადაწყვეტამდის მთხოვნელთ თავისი დემართებათ.

„კავკაზის“ სიტყვით „მუხრანის“ გაყიდვა ვერ ხერხდება.

„კავკაზის“ სიტყვით პეტერბურლის ქართველები და სომხები პეტერბურლში არსებენ საზოგადოე-



ბას, რომლის მიზანია დანმარება აღმოუჩინოს იქ მცხოვრებ ღარიბ კავკასიელთა.

ხუთშაბათს, 18 ამ თვეს, დანიშნულია ჩვენი არტისტების ბ. კანდელაკის და შათირიშვილის ბენეფისი.

დიდმარხვაში სახაზინო თეატრში გაიმართება სცენის მოყვარულთა მიერ ქართული სპექტაკლი ქართული დრამატული საზოგადოების სასარგებლოთ. წარმოადგენენ ქ-ბ-ნ განდევლის მიერ ლექსათ ნათარგმნს „ვეი ჰკუისაგან“.

„აკვალის“ კორესპონდენციები.

ღ. ღანჩუთი. მას შემდეგ, რაც რიონი თავის კლავატში აღარ დგება და ჩვენ ნამუშავეს შეუბრალვლათ ნთქავს, დიდ სიღარიბეში ჩაეკარდით ღანჩუთლები; მანამდის კი ახლო-მანლო სოფლებზე ყოველთვის წინ ვიყავით. იმ ბედნიერ დროში გვექონდა გამოწყებული და თითქმის დაბოლოებული სხვა-და-სხვა საქმეები. რა გინდა, რომ ჩვენ არ გვექონდა: სამკითხველო, შევნიერი ქეითკირის საყდარი, ორ კლასიანი სკოლა, სადგურიც ახლო, აბა მეტი რაა საჭირო? ახლა კი სიღარიბე გვეწვია და ლამის გაგვანადგუროს. პარასკეობა ჩვეულებრივად ვიცით არა მართო სხვა და-სხვა ადგილობრივი ნაწარმოებით ვაჭრობისათვის, არამედ უსაქმო ქალ ვაჭების ერთმანეთის გაღაზნანდრებისათვისაც. საპარასკეო შუა ადგილზე ჰყავს ამოუთხრიათ, რომლის ირგვლივ ისეთი ტალახი დგას (თითქმის ყოველთვის), რომ მშრალათ გავლა გაკიდნელდებათ. ამას გარდა სხვა-და-სხვა ქეები: ჩამური, ეკეტერი გაფანტულია ამ პატარა მოედანზე. ამდენ ხანს მედუქნეებს არ მოუფიქრებიათ, რომ საპარასკეოთ შეაყიდათ ის მინდორი, რომელიც აღმოსავლეთით აკრავს დაბას (შეიძლება უფასოთაც დაეთმოთ). ამ უკანასკნელ სამ წელს ქუჩები განათებული იყვენ, მაგრამ 1899 წელი სხვაფერ დატრიალდა ღანჩუთისათვის, რალაცა მანქანით ქუჩის ფარები სულ დაიღწა და ახლა შეხედვით ფარის მაგიერათ ძირ-მოშალ უმიზნოთ გაჩერებულ სვეტს, რომელზედაც ცარციოთ, ან ნახშირით სხვა-და-სხვა გინებაა მიწერილი. საყდარი გარედან შევნიერია, შიგნით კი მოტიტვლებულ კანკელს ხედავთ, რომელზედაც აქა-იქ ჰკიდია ხატი. საყდარში ფეხი ძალიან უნდა დააჭიროთ, თვარა წაგაქცევენ, ისეთი მიწვე-მოწვევა. ქალებს კიდევ უარესა ამბავი აქვთ. შუა წირვაზე ხშირათ გაიგონებთ: „მე წინ გამიშვი,

მეც „—გაუშვი, გაუშვი აზნაურიშვილია-მიაყოლებს მეორე. წირვის გათაგების დროს ისეთი ხმაურობა ატყდება, რომ მტრის შემოსევა გავახსენდებათ... ესეც ღანჩუთის განათლებაა, აბა, რა ჯანდაბაა?!. სასწავლებლის საქმე ზედამხედველის და მასწავლებლის შრომით კარგ ნიადაგზე დგას ჯერ-ჯერობით. მოსწავლეების რიცხვი თან-და თან მატულობს, ასე რომ მიუხედავად უზარ-მაზარი შენობისა, მეორე ორ სართულიან ქვის შენობას აგებენ. მხოლოთ ძრიელ სასურველი იყო, რომ პატივცემულ პირთ, როგორც არს. წითლიძე და კ. წილოსანია, ეზრუნათ სამეურნეო ნაწილის მიმატებაზე, როგორც დ. ბახეში, დიდ-ჯინახისში და სხვაგან არის. სასოფლო სამმართველოს, რომელსაც კარგა ხანია ძინავს და გამღვიძებელიც არა ჰყავს, თავისი მოვალეობა სრულიად დავიწყებია. ის გზებს უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს, ნამდვილათ კი ამისთვის ყურსაც არ იბერტყავს; ბევრ ხილს ნახავთ ჩამტერეულს „დიდმარხვ“, სადაც ურმიანებს ძრიელ უჭირთ მიმოსვლა. სამკითხველო თუმცა წინგებით ძრიელ ღარიბია, მაგრამ ყურნალ-გაზეთები საკმაოთ მოუღის; მხოლოთ მკითხველები არიან ძრიელ ცოტა. მართალია სამკითხველო ყოველ დღე საესეა, მაგრამ საკითხავათ კი არ არის, არამედ თუთუნის მოსაწევათ და სალაპარაკოთ. ძრიელაც რომ გინდოდესთ კითხვა, თუთუნის სუნი მანც გამოგადგებსთ კარში. ძველმა წელმა საშიშარი სენი „ყვავილი“ დაგვიტოვა, რომელიც მთელ სოფელში მოდებულია და ეს არა მართო ღანჩუთში, არამედ მანლობელ სოფლებშიაც. ამ სენით ავთამყოფისთვის მოვლა ღანჩუთელისთვის მხოლოთ ერთი „ბატონების“ ძახილია და სხვა არაფერი. საჭიროთ ვრაცხ გავახსენო ზოგიერთ ინტელიგენტებს და უმეტესათ კი მღვდლებს, ხალხს ჩააგონონ, რომ მართო „ბატონების“ ძახილით და სახლის კუთხეში იის წვეწის სხურებით ვერას უშველიან ავთამყოფს. ამის მაგიერათ ჯობს საცვლები უფრო ადრე უცვალონ და რაც შეიძლება სიწმინდე დაიცვან. ჩვენში თითქმის ჩვეულებათ აქვთ, რომ ყვავილიან კაცს საცვალს არ გამოუცვლიან მოჩინამდის, რაც ვგონებ ძრიელ მავნებელია.

მ. ნატაშვილი.

... უწინისი (გარის მახრა). ეს ჩვენი ურბნისი აქვს ამ წუთს სოფლის ბრუნვას და ნელ-ნელა ისხნაფერებს თავის ცხოვრებას. ამ ოთხი-ხუთი წლის წინეთ ურბნისელი გლეხ-კაცი იჯდა კარ-ჩაკეტილი თავის სოფელში და იკიდან ფეხს არ იცვლიდა; ეს წელიწადში ერთხელ გორშიაც კი არ ჩაიხედავდა (10 ვერსზეა). ან კი რა წაიყვანდა სოფელს გარეთ, რო-



ცა შინ ყველაფერი ბლომათ ჰქონდა: პური, ღვინო, სიმინდი და სხვ. „მამული“ მას ყველაფერს ქარბათ აძლევდა და მათი შემწეობით თავის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მაგრამ ამ ოთხ-ხუთ წელიწადში კი ურბნისელების ცხოვრების ჩარხმა უკუღმა დაიწყო ტრიალი. 1895—1896 წლებში ზედიზედ მოვიდა სეტყვა და მოსავალი სულ აუოხრა: წაუხდინა ვენახები და რთვლების დროს ყურძენს წინათ გოდრებით გაჭედვით ურმების მაგიერათ, ახლა კალათებით დაუწყეს ზიდვა; ჩაუღვწა მზათ მოსული ყანები და საწყლებმა ცარიელი ჩალა შემოაზიდეს მინდერიდან სოფელში. ამ წლებში რის ვაი-ვაგლახით ძლივს გამოიკვებეს თავი ურბნისელებმა, თორემ პურის გაყიდვას ვილა ჩიოდა, შარშანწინ კიდევ (1897) თიბათვის დამღვეში შემოაკლდათ პური და ატყდა „ფქვილის სესხობა“, მაგრამ, რომ აღარაგისა ჰქონდა ფქვილი, ეინ ეის ასესხებდა? უღმობელმა „კუჭმა“ საწყლებს ნელი ყანები დააჭრევინა. შიმშილს ზედაც საცივე დაერთო: აქამდის ცოცხანთ ტყე ჰქონდათ აღებული, ახლა კი, ველარც ეს აიღეს და დარჩენ უშეშოთ. ამ უშეშობაში მიჰყვეს ხელი ვენახის ხეხილებს და სულ დაჰკაფეს. ამ მოულოდნელმა და მოუწინავედელმა ზარალმა უკან დასწია და დააქვეითა ურბნისელების ცხოვრება, ამ უბედურებამ და გაჭრებამ, მოაძებინა მათ სხვანაირი ცხოვრების საღსარა. აქამდის რკინის გზაზე სამუშაოთ, „ქვეით“ (ჩვენებურები ასე ეძახიან თვილისსა და ბაქოს შუა მდებარე ქვეყნებს) მარტო ზოგიერთა ახალკაზდა ბიჭები, „პაქარნები“, დადიოდნენ; დღეს კი ცოლ-შვილიანებმაც და მარტო-ხელებმაც „ა-ბეს ფეხი“ და გასწიეს „ყარს-ს გზაზე“ სამუშაოთ. თვითონ ჩვენებურებისაგან გამიგონია: „ჰე, დალოცული რკინი გზა არის ახლა ჩვენი მაცხოვრებელი“. აქამდის ურბნისელებს ერთი ნაეიც კი არა ჰქონდათ მტკვარზე, (მახსოვს წინეთ ერთი ამოფუტრული ხის ნაეი ჰქონდათ, რომელ-ც ველური ხალხის ნაეებს ძლიერ მოკაგონებდათ, და იმით დიდა კანკალით და ცახცახით ძლივს გადი გამოდიოდნენ). ახლა კი კოხტათ გამართულ ბორანზე განუწყვეტლივი მოძრაობაა „ხევი-ქვევი“.

საზოგადოთ, გალატაკებულ და დაცემულ ურბნისელებს ბევრი ხარჯა აწევთ; საბალახო კა „ციცინათი“ აქეთ ხოლმე ასაღები. მაგრამ, სხვათა შორის „სკოლის ფული“ უფრო უჭირებს საქმეს. ჩვენი სოფელი სოფელ რუ-სზე არის მიწვრალი, რომელშიაც სკოლა არის გამართული. ამ სკოლისთვის ურბნელები წელიწადში ცხრა თემანს იხდიან, თუმცა იქ მათა არც ერთი შვილი არ გაზდილა და არც იზდება. ახლა კიდევ სხვა სკოლის გამართვა ვანი-

ზრახეს რუისში და მისი ასაშენებელი კომლზე სამსამი მანეთი შეაწერეს ურბნისელებს. (სულ 120 კომლი იქნება). ერთი ეწინააღმდეგებოდნენ: „არ მოგიდგებით, ჩვენ ჩვენი სკოლა უნდა ვამართოთ“, მაგრამ საწყლებმა უწინამძღოლოთ ვერა მოახერხეს. რუისელებმა კი თავისი გაიყვანეს და 1898 წ. ლენობისთვეში მათრახის შლაპა-შლუპით აჰკრთეს ფული. მკითხველი ნათლათ ხედავს, რომ ეს სკოლის ფული ღარიბ-ურბნელებისთვის მეტი ბარგია. ეს მოვლენა ჩვენი სოფლების უსწავლელობის და გაუწავლელობის ბრალია. პატრონი და მფარველი კი ამათთვის ჯერ არ დაბადებულა, და თუ შემდეგში დაიბადება, ამ ქამათ კი გულ-ჩვილი და გულწრფელი მათრახებია ამათი მფარველი.

კ—ა.

ს. ილორი, (სამურზაყანო). ამ საზოგადოებაში არსებობს 1885 წლიდან ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლის მასწავლებლათ იმყოფებოდა ბ. ჯაში, და რომელსაც თავისი დანიშნულება ღირსეულათ ესმოდა; იმისი დაუღალავი შრომით მისი იქ ყოფნის დროს სასწავლებელი კარგ ნიადაგზე იდგა, რაც შეეხებოდა დასაწყის სკოლას. ცხრა წლის სამსახურს შემდეგ ბ. ჯაშმა მოინდომა ამ სკოლის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებლათ გადაკეთება. არა ერთხელ შეჰყარა მან საზოგადოება და აუხსნა მათ, რომ სკოლა არ აკმაყოფილებს მათი შვილების მოთხოვნილებას, და რჩევა მისცა რომ საზოგადოებას სკოლა გადაეკეთებინა, შენც არ მომიკვდე, საზოგადოებამ, არამც თუ სკოლის გადაკეთებაზე დათანხმდა, არამედ იმისა დაკეტაც მოინდომა, და ამდენ ხანს თუ მასწავლებელს კარგი თვალით უყურებდნენ, ამ კეთილ რჩევას შემდეგ ზიზლით დაუწყეს მხერა, გამოჩნდნენ იმისთანა პირები, რომლებიც უმტკიცებდნენ ხალხს, რომ ბ. ჯაშის რჩევა ყოველად უსარგებლო არის თქვენთვისო; ის იმისთვის უფრო ზრუნავს, რომ ზედამხედველობა უნდა იმოვოსო და თქვენი ჯაფრი სულ არ აქესო. აი, ამისთანებზე არის გამოგონილი ხალხური ანდაზა, „ქინ-ქრაქას ბუმბულში აწვენდნ და ის კი გაიძახოდა ფუჩი-ფუჩიო“. მაგრამ ბ. ჯაშის გულ-კეთილობა ამასაც აღარ დაჯერდა, და მეორეთ თხოვა დარეკტორს და ბოქაულს, რომ მათა თანადასწრებით ხალხსთვის რჩევა მიეცა, მაგრამ ჩვენი ილორის მცხოვრებნი სულ მშრალ უარს დადგენ, თუმცაღა დარეკტორთა თავის მართით რეაას; მანეთს შეწევას დაჰპირდა, და სხვებ-საკანაც იყო შეწვეის იმედი, მაგრამ რა ერთხელ თქვეს უარი, მერმეთ აღარ დათანხმდნ. ზოგი იმ მიზეზს აცხადებდა, რომ ჩემი შვილი



ახლანდელი ქალის დროს გატარება.

წი არ ვარგა სასწაელებელში შესასვლელათო, ზო-
გი კი იმას—რომ მე ვაჭი არა ძყავს და ქალს რათ
უნდა სწაელო; ზოგიერთები სოფლის ბურჯები ასე
სჯიდენ: თუ გინდ გადაეკეთოთ ორ კლასიან სასწა-
ვლებლათ, მაინც რა სასარგებლო იქნება ჩვენთვის,
აქ რომ გაათავოს „უჩიტელათ“ ან და „ჩენი კან-
ცელარი“ მწერლათ მაინც არ ივარგებსო. ასე ამ-
დენი ხნის უსაფუძვლო ყოყმანის შემდეგ ის დასკე-
ნა გამოვიდა საზოგადოების მხრით, რომ მათთვის
სასწაელებელი საჭირო აღარ შეიქმნა. „დაწვას და-
დულერაც მოემატა“-ო, რომ იტყვიან, ასე მოხდა. ბ.
ჯაში გადაყვანილი იქმნა სხვა სასწაელებელში, და
მის მაგიერ დანიშნულ იქმნა ბ. ჯ. დე. ჩე-
ნი საზოგადოების ბურჯები სულაც არ შეწუხებუ-
ლან, იმათ თვალში სულ ერთი შეიქმნა, მხოლოდ
ვეროპიულათ ყოფილიყო ჩაცმული, და გარეგანი

შეხედულობით მასწაელებელს გვანებოდა, და თუ-
გინდ ვინმე „პოვარი“ ყოფილიყო.

ილორელი.

ს ა შ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ

საშრანგეთი. პრეზიდენტი აღარ არის, გაუმარ-
ჯოს პრეზიდენტს!—აი, საფრანგეთის უკანასკნელი
ამბები. ოთხ ამ თვეს გადაიწვალა ფელიქს ფორი,
შვიდ ამ თვეს არჩეულ იქნა ემილ ლუბე. მთელი
სამი დღე საფრანგეთის რესპუბლიკა დარჩა უპრეზი-
დენტოთ, უთავოთ. მარა ის ოდნაეათაც ვერ შეარყიეს
ვერც მონარხიელთა მუქარამ, ვერც დრეიფუსის „სკან-
დალისტებმა“, ვერც პატრიოტთა ყვირილმა და კლე-



მუსიკის დამცველები.

Handwritten text in Georgian script, likely bleed-through from the reverse side of the page, surrounding the illustration.

საქართველოს
საზღვარსაღი

რიკალთა ინტრიგებმა. დეპუტატი და სენატორნი, პრეზიდენტის ასარჩევად ვერსალში თავშეყრილნი, (მათ საერთო სხდომას ეწოდება კონგრესი) ამ დაუსრულებელ ქრიამულში, ამ კრიტიკულ მომენტში სრულებით არ დაბნეულან და დიდის ხმის უმეტესობით პრეზიდენტის ალაგას ნამდვილი საპრეზიდენტო კაცი იქმნა არჩეული. რა ნაირი მოღვაწე უნდა იყოს საფრანგეთის მეთაური? ის უნდა იყოს ზნეობით უმწიკლო, გონებით გამჭრიახი, მსჯელობით მიუდგომელი, მებრძოლთა მომრიგე, პარტიათა მოსაშუალებე, ყველასთან მომწყობი, ყველას დამამშვიდებელი. ერთი სიტყვით, ის ისეთი პირია, რომელსაც კანონით არაერთად უფლება არ აქვს მინიჭებული, ისეთი უფლება კი არა, რომელიც ყველა დანარჩენ ფრანგს აქვს; პარტიობა, თაოსნობა, სახელმწიფოს საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღება — ეს მისთვის სასტიკათ აკრძალულია. მისი საქმეა სამინისტროს შედგენა, როცა მას პარლამენტი დასცემს, მარა შედგენა უთუოთ იმ უმრავლესობიდან, რომელმაც ძველი კაბინეტი უარაჰყო. შეიძლება ეს პირები, ეს პარტია მას სულ არ მოწონდეს, მარა მან მანც ესენი უნდა დაიხლოვოს და მათ მართვა გამგეობა ჩაბაროს. მსი მეორე საქმეა ხელისმოწერა იმ ქალაქებზე, რომელსაც სამინისტრო წარმოუდგენს. ეს არის და ეს. და რადგანაც მას არაერთად მოქმედება არ შეუძლია, ამიტომ პარლამენტის და ერის წინაშე არც პასუხის მგებელია. მაშ ის რის მაქნისიაო, იკითხაეთ. ის განლაგეს საფრანგეთის დეკორაცია, ის საფრანგეთის სასტუმრო მორთულობა. უცხო სახელმწიფოთა წინაშე გამოსაყვანათ და საჩვენებლათ. და ის პრეზიდენტი, რომელიც მიღწევს ამ იდეალს, იდეალს უმოქმედობისას და გარეგანი მორთულობისას, ყველაზე უფრო დიდხანს ძლებს თავის ალაგას. და თუ ერთხელაც გაბედა და ქვეყნის მართვა გამგეობაში თაოსნობა გამოიჩინა, მშვიდობით, მას იქ აღარ დააყენებენ. ამ 29 წლის განმავლობაში საფრანგეთმა ექვსი პრეზიდენტი გამოიცივალა და თითქმის ყველა უახლოვდებოდა ამ იდეალს, გარდა ორისა — ეს ორია გენერალი მაგ-მაჰონი და კაპიტალისტი კაზიმირ-პერიე. პირველმა თავისი სასწორი მონარქიელთა მხარეს გადახარა და ჩამოგდებულ იქმნა მეთაურობიდან (1879 წ.); მეორე ბურჟუაზიულ პარტიებს მიუდგა და ისიც იძულებული გახადეს სამსახურისთვის თავი დაენებებია (1893 წ.). პრეზიდენტობის იდეალი განახორციელა კარნომ, რადენიმეთ გრევიმ და ფელიქს ფორმა. სწორეთ ამ გვარი კაცია ნაუცაბედვეთ არჩეული ლუბეც. ის თავის საპრეზიდენტო დეკლარაციაში (აღსარებაში) ამბობს, რომ ეცდება დაცვას რესპუბლიკა და იწვევს პარლამენტს, სენატს და მთელ

ერს შესაერთებლათ. ის ამჟამათ 60 წლისაა, ფორი 1) კი 56 წლის გადაიცვალა.

ამსტერი. ავსტრიის საზღვართან იყოფება ერთი პატარა დამოუკიდებელი სამთავრო წოდებული ლიხტენშტეინი. ის შეიცავს სულ 13 ათას მცხოვრებს და უჭირავს მთა-გორიანი ადგილები. წელს ამ პაწია სახელმწიფოს ორასი წელი შეუსრულდა, რაც არსებობს და მის შესახებ ევროპული პრესა ერთ მეტათ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს. აი, ეს ნამდვილი, მარა საზღაპრო, ამბავი: 1816 წ. უმთავრესმა ქალაქმა, ფადუცმა, ამოარჩია დეპუტაცია და მთავარს შეუთვალა: მართალია ჩვენ არაფერი გვაქვს იმის წინააღმდეგ, რომ თქვენ ჩვენზე იმთავროთ, მაგრამ ამისთვის ფულის გადახდა არ შეგვიძლია, ეს მით უფრო რომ თქვენ ძალიან მდიდარი ბრძანდებითო. მთავარი მართლაც ძალიან მდიდარი იყო და დეპუტაციას მოახსენა: „ჩემო შეილებო, მე არ ვსაჭიროებ თქვენ ფულს და ამიერიდან მუქთათ ვიმთავრებო“. ამ ნაირათ, ლიხტენშტეინის მთავარი შეუდგა უჯამაგროთ მეფობას. 1836 წ. ის გადაიცვალა და ტანტზე ავიდა მისი შვილი. ფადუცის მცხოვრებლებმა ამის გამო ცოტა ხარჯი გასწიეს, ქალაქი გააჩირაღდნეს, თოფები გაისროლეს და სხ. მეორე თუ მესამე დღეს მოქალაქენი შეიყარენ და გამართეს ბჭობა: ჩვენი საყვარელი მთავარი მართალია უფულოთ მთავრობს ჩვენზე, მაგრამ, როგორც დაინახეთ, ესეც გვარიანი ფული გვიჯდება. ცოტ-ცოტა ხარჯებს ყოველთვის ვწევთ მისთვის, ხოლო ჩვენი მართვა მას დიდ სასიამოვნოთ მიაჩნია. ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამასთანავე მდიდარიც არის. მოგახსენოთ მას ყოველივე ჩვენი გულის წადილიო“. ამოარჩიეს დეპუტატები და გაგზავნეს სასახლეში. ისინი წარდგენ მთავრის წინაშე, ყოველივე მათი მოლაპარაკება აუწყეს და თანაც დასძინეს: როგორც ხედაეთ, ჩვენ კიდევ საკმაო ფული გვენარჯება თქვენისთანა მდიდარი მთავრისთვის, მთავრობა კი თქვენთვის ძალიან საჭირო და სასიამოვნოცაა, ამიტომ გთხოვთ ფულით შემწეობა მოგვეცეთ წლიურათო. მთავარმაც აღუთქვა და წელიწადში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ხარკს აძლევდა თავის ქვეშევრდომთ! და ასე მთავარი ფულს ინდიდა მთავრობისათვის. ბოლოს იფიქრა: ქვეშევრდომნი მე ჩემი შრომისთვის არაფერს არ მაძლევენ, მაშასადამე შემძლია ცოტა თავიუფლება მქონდეს და აქ ცხოვრებას მაგიერ ვენაში გადაესახლდე, მართვას იქიდანაც კი შეეძლებო. და ის იყო გადასახლდა. განვლო

1) ფორის სურათი „კვალში“ უკვე იყო მოთავსებული და ამიტომ ახლა ადარ კსტამბავთ.



რამდენიმე წელმა და ქვეშევრდომებმა კიდევ გაუგზავნეს კაცები და მთავარს პოასხენეს: მართალია, ჩვენ არაფერს გაძლევთ, პირ იქით თქვენ თვითონ გეინდით იმიტომ, რომ ჩვენზე მთავრობას განებებთ. ეს ყველა ჩინებულთა, მაგრამ თქვენ ერთობ ძალიან ბევრი ფული გაქვთ და ამას ვენაში ხარჯავთ, ჩვენ კი გვაკლდება, გთხოვთ წელიწადში ექვსი თვე ჩვენ შორის გაატაროთ და ამასთანავე ერთი პატარა ზედნადებიც მოგვცეთ, სახელდობრ, ერთი კონსტიტუციაო. მთავარმა აღუთქვა იქ ცხოვრება და მისცა პარლამენტიც, რომელიც 15 კაცისაგან შედგება და ამათაც თვითონ აძლევს ჯამაგირს. აი ასეთი ახირებული წყობილება აქვს დღეს ამ საარაკო სამთავროს!



რწმენა იმედი და სიყვარული.

გუძღვნი კვ ს და

ზაბწყინებულ თვალებითა მე შევტყუარი მომაჯალსა, მასში ვსედავ საწეტარო დროს დიდებით მოსაჯალსა. ტანჯვა-გვრისის გამქაწყლებელს, ტანჯვიდანვე წამოხსამოსს, მწარე მოთქმის, მძიმე უღლის, შეგუბებულ ცრემლის ნაყოფს. ამით ვცოცხლობ, ამით გულში მეხდება ტანჯულს ღსენა, ეს არს ჩემი მტნებათ-მტნება, იგი არის ჩემი რწმენა...

* *

და ამ რწმენით მივალ წინა ჩემ არჩეულ კელის გზაზე, ვერ შემაჭრთარს ნარ-კვადი, ვერ დამიშლის სელასა მასზე. წინ მიმიძღვის ჩემი რწმენის, სასოების დმერთა-დმერთი, ის მეავს კვერდში—რას დამაკლებს სატანა და ვოჯოხსეთი?!... და იმ გზაზე მოკაშვამე მომაჯალის შუქი მსგავსა;

ის შუქის ჩემ არსების იმედი და სასოება...

* *

ამ იმედით მოცულ გულში, ტკბილი გრძნობა ჩასისას, ამა გრძნობამ ჩემი რწმენა და იმედი იქვე ნახა. ზედ გვირგვინათ წამოკვდა, მეგობრობა განუცხდა, შეეთვისა, შეუერთდა, შეეტბო და შეუუარდა. სამი ძალა ნეტარების ჩემს გულშია ერთათ სრული: კვ რწმენა, იმედი, მათ გვირგვინათ სიუყვარული.

გ. გოგოლაძე.

ჩვენი სახიობა.

თქვერვლის 11 იყო ჩვენი წარჩინებული დრამატული მსახიობის ეუქმია მესხის ბენეფისი. წამოადგინეს სუთ მოქმედებანი დრამა „ადრენა ლეკუგერა“ (ჩიტრისს სიუყვარული), თსზულუბა სკრიბის და ლეკუგერს, გადმოთარგმნილი დათ. მესხის მიერ. მუყრუბლები ბუკრი დაესწრო ამ წამოდგენას, მაგრამ თვატრი მინც არ იყო სავსე. ვინც ექებდა წამოდგენაში ნამდვილ ესტატურ სიაზოვნებას, ესე იგი ხელოვნების სიტკბოებას და არ იყო ამ წამოდგენაზე, იმას ბუკრი დააკლდა. ძლიან ძვირათ შესვდა ჩვენ დროში კაცს ნამდვილი სელოვნების შთაბუჭდილების გამოცდა. მით უმეტეს აღტაცებით მოიგონებენ ისინი, ვინც თერთმეტ თებერვალს დაესწრენ ქართულ სცენაზე და უყურეს ეუქმია და მისი მისი გ. მესხის თამაშს. ეს დამამ სწორეთ სელოვანი მსახიობები არიან. მათი სცენის ცოდნა, ყოველთვის ზომიერი და გადუმეტებული თამაში, მათი სელოვნური წინაგრძნობანი მისაბაძებულნი არიან სსვეებისთვის. თვით დრამა შეიცავს მსახიობთა განკვერპობული ცნოვრების გამოხატვას და, უნდა ვთქვათ, ეს ცნოვრება ძლიან მართლათ და ნიჭიერათც არის გამოყვანილი. ამ ცნოვრებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თვით დრამის ზირველი მსახიობი ქალი, რომელიც განიჩნება თავისი უმანკო, მწიკვლომორცხებელი სასიათით, რომელიც გატაცებულია თავისი სელობით და დრამა-სიუყვარულის გრძნობით ერთ ასაღვასდა სამხედრო კაცისადმი. მაგრამ, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ნამეტურ მსახიობთა ცნოვრებაში, ნიჭიერებით და უმანკო სასიათით შემოყული მსახიობი ამისთანა მარამდულ ჭკერში თავს ვერ გაიტანს. ადრენა ლეკუგერ-

საც მალე მოუღებენ ბოლოს მართლაც და სწამლავით. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეფ. მესხმა შესანიშნავი დრამატული თამაშით უკანასკნელ მოქმედებაში. იმან მეტათ ნამდვილათ წარმოადგინა უკანასკნელი მომენტი სულთმოხმბავისა, თვით საკვირველი თვისების სწამლავის ზედმოქმედება, რომელიც თან გონებს უწყევლად მოწამლულს და თან ბოლოსაც უღებდა მის უდროოთ განწინებულ ცხოვრებას. ამ მომენტში საზოგადოებაში გამოიწვია ანა ჩვეულებრივი შთაბეჭდილება; ვარშემო მსუბუქელთ შორის მოგვეხმა შეკრებიული კვნესა და ტირილი.


ეფემია მესხი თითქმის თვით ბუნებას დაუბადებია სტენისთვის, ის თვითონაც გმირებს ამას და სტენაზე ისე თავისუფლათ იქცევა, ვითამც თავის საკუთარ ღობისში იყოს და თავისიანებთან დროს ატარებდეს. ამასთანავე იმას აქვს შესანიშნავი მიმზიდველი და მკათოე ხმა, ასე გამწვანე, სტენიდან მისი ჩუჩხული შორს განდარსე მსხლამარე მიეგრებულსაც ვი ვარკვევით ესმისთ. მის გამოთქმასაც რომ შეკნიერი და ნამდვილათ ქართული კილო აქვს! რაც უნდა გლახა ნათარგმისი რელი მისცეთ მას, რაც ის სტენაზე გამოვა, მისი ბავიდან ეს ცრუდა ნათარგმნიც ნამდვილ ქართულათ იცვლება. ეფემია მესხს ეს ქართული უზადო კილო ბუნებით შეთვისებული აქვს. ამასეთნაირი ტკბილათ მოჩუჩხუე ბუნებრივი ქართული, რომელიც არ არის შეფერვებული რუსულ-სომხურ სზარსული ენების სიტყვებით, რომელსაც ძველიდანვე ვერ შეხებია ენის ვარკვენა, ნელ-ნელა იდგამს ფესს ჩვენ აწინდელ დიტრატურაში და აგრეთვე ქართულ სტენაზე. ამ ენის კილოთი გვესაუბრება ხოლმე სტენიდან ეფემია მესხი და მიტომაც მიგვანნია მისი კილო, მისი დიქცია ასე სასიამოვნოთ, თითქმის ჩონგურის ხმა მოგვესმისთ. საზოგადოთ სტენაზე მოთამაშე მესხების და-მქებს ბუნებითათ ვარკვით შეთვისებული აქვთ ქართული ენა და, რომ უფრო ემოციონებულადენ თავის საკუთარ ბუნების სმას და ნაკლებათ ექვემდებარებოდენ დღევანდელი სელაგნურტი ქართული ენის ვარკვენას, ბეკრათ ემჯობინება.

ვ. მესხი ჭკვიანი, სტენის მტოდნე და სელაგნების მტონობიარე მოთამაშეა. იმას მართლაც შეუძლია, თუ არ დაიზარებს, ქართულ მსახიობთა გაწვრთნა და სკოლის შექმნა.

მისი ძმა, დათიგო მესხი, ვარკვი ნიჭიერი მსახიობი და საოხუნჯო იმერული სტენების ზეპირათ მოქმედა; მაგრამ ჩვენ სრულებით არ ვითახსმებით, ვითამც მხარერულებისა და სიციფის გამოსაწვევათ საჭირო იყოს მანც და-მანც იმერული სიტყვების გადატრეს გადამსინჯება, რეგორც ეს ჩვეულებათ ქქონდა გ. ერისთავს, რომელსაც გამოჭყვავდა იმერული და სომხური ტიპები სტენაზე და ძთელ კომიზმს იმაში ხელავდა, რომ სომხებს და იმერებს ქართულ ენას ამასინჯებოდა და უწამწურ

სიტყვებს აღაზარებებოდა. კომიზმი გამოთქმის შემთხვევაში უნდა იხარებოდეს, არამედ სურათის შინაგან აზრში და სტენის მდგომარეობაში. სტენაში კომიზმის აღნიშნას სრულებით არ უშდის დაზბისდური, შემუშავებული იმერულ-ქართული კილო, რდონდ ვი სტენაში იყოს გამოხატული სხიკეულობა მდგომარეობისა. დ. მესხმა წიკითხა რამდენიმე სტენა იმერეთის ცხოვრებიდან, მკათლოთათ ქალ ვაჟის ვარშთიეება ლექსათ. აქ კომიზმი იხატება თვით ქალ-ვაჟის სიმარტივეში და იმათ იდილლიურ დამოკიდებულობაში. სრულებით საჭირო არ იყო სიტყვების გადაქცევა. ამ გვარი ჩვეულებით შემცდარ აზრს და წარმოდგენას ვარჩებთ ხელში იმერლებზე ჩვენ მოძვე ქართლ-ვასკლებს, თითქმის ჩვენი იმერული დაზბისდური კილო არ იყოს დიწსი სალიტერატურო ვანვითარებისა და ძალაუნებურათ ვაჟენებთ მას სალანდელ სელაგნურათ შეთხზულ სალიტერატურო ენის ვარკვენას ქვეშ, რომელიც მისი ბუნებრივი თვისების წინააღმდეგია და არც შეეფერება. რაიცა შეეხება სხვა მსახიობთა თამაშს, მოხსენებათ არა დიწს, მხოლოთ არა უჭირდათ რა გულკანავს, სვიმონიქს და ვანდელავს.

მასკავალი.



პ ი რ ი მ ზ ე

რომანი

ნაწილი I.

ბატონ-ჟოზობის დრო.


VI.

(გავრძელება) *)

როდამ კვესაური ერთი ძვალსხვილი, შუაქალობას გადასული დედაკაცი იყო. მისი ოჯახის სიმდიდრე მისი მოწიფული ვაჟი, პეტრიელა კვესაძე, იყო. ის პატარობიდან მამას ქალაქს ვაეზარებინა და ერთ სოფდაკართან ხელზე მოსამსახურეთ დაეყენებინა. რევაზ ბაკურიძე ძალიან ვაბრაზებული იყო თავის გლეხზე, დათია კვესაძეზე, ამის გულისთვის.

— რაც უნდა სიკეთე უყო გლეხს, ის მაინც არ დაგისწავლის, მაინც ტყისკენ იყურება, სულ იმას ფიქრობს, რამე გიორგულოს, დაგაკლოს! — იძახოდა რევაზ გულმოსული. — მე ის პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურეთ მინდოდა, ჩავაცმედი, დავებურავდი, ბატონის კარზე ვაიზდებოდა, მერე საჯინობოს და მარნის კლიტეები უნდა ჩამებარებინა... თუ ერთგულობას გამოიჩინდა, მერე მოურავათ ვაეხდიდი, მარა

*) ის. „გვალი“ № 6



გლეხი ყოველთვის ასე ღმერთ-გამწყრალია: არც თავის სარგებლობა ესმის, არც ბატონის სამსახური. დაესხა თავსლათი! მის მაგიერათ მის მეზობლის ბიჭს გამოვიყვან და ისე გამოვიკანკლავ, რომ აზნაური-შვილს დავამსგავსებ. მაშინ კი სისხლით ავესებათ თვალები, ნანობას დაიწყებენ დათია და მისი ცოლი როდამ, მარა რალა დროს? ეს კიდევე არაფერი, მე ვაყურებინებ დათიას მის სეირს. სულ ჭურების რეცხაში ამოვართმევ სულს. თუ კაცი ვარ, მართლა ვაგრძნობინებ, რაც ვიყავი მე მისთვის. აქამდის გააზნატებული მყავდა, აწი კი დავადვამ კისერზე კამბეჩის უღელს—ემუქრებოდა რევაზ და თან დადიოდა თავის განიერ აივანზე და ჯავრს თავის ჩიბუხს აცხრობდა, რომელსაც მეტი წვეისაგან ბუყ-ბუყი ვაქონდა. მართლაც იმ დღიდან დათიას ბევრი მწუხარება დაადგა ბატონისაგან. ის იყო მებეგრე გლეხი; წელიწადში უნდა მიერთმია ბატონისათვის ერთი საპანე ღვინო, ოთხი კოდი სიმინდი და ოთხი ბათმანი ღომი. ამას გარდა ყოველ საშობოთ მისი სიკდე თითო ფერდელა დაკლული ღორი. ამას ერქვა საუდიერო. უწინ ბატონი დიდათ არაფრათ აქცევდა ყურადღებას დათიას ბეგარას; თუ შეეხებოდა, ხანდა-ხან ერთი საპანე ღვინის მაგიერათ ნახევარსაც დაჯერდებოდა; საუდიერო ღორს კი თავის დღეში არ გაუზომავდა, მაგრამ მას აქეთ, რაც შეილი ქალაქს გაპარა, საშობო ღორს ყოველთვის უზომავდა. დაკლული და გაფუცქნული ღორი გლეხებს კეტზე უნდა ჩამოეკიდნათ უკანა ფეხებით, კეტს ერთი თავში და მეორე ბოლოში მოკიდებდა ხელს ორი შინაყმა და ისე დააზომებდენ მდგომარე დათიას. უკანა ფეხის ჩლიქიდან დინგამდე საუდიერო ღორი უნდა გამოსულიყო დათიას სიმაღლე; თუ არ გამოვიდოდა, უკანავე გაატანდენ. ბევრჯელ იუკადრისა დათიამ ასეთი გაზომვა,—ერთხელ კიდეც დაადო ღორი ბატონის ოჯახში და წავიდა შინ შემდეგი სიტყვებით: „თუ არ გინდა ჭირი მომქამეო“.

ეს ამბავი შინაურებმა რევაზს მიუტანეს. ბატონმა შავი დღე დააყენა დათიას ამის გულისთვის, ბარე ათი მათრახი უშიშვლა ზურგზე და მერე ხელგაკრული გაუგზავნა პოლიციის ბოქაულს, რომელმაც ერთ თვეს საპრობილეში ამარხულა. ამან ისე მოხარა და დაჩაგრა დათიას გული, რომ შემდეგ ბატონისათვის აღარა უწყენინებია, თუმცა მას შემდეგ წარბაზსნილიც აღარავის უნახავს. მისი ცოლი, როდამ კვესაური, მზის ამოსვლისას და ჩასვლისას ყოველ დღე წყვეა-კრულვით მოიხსენებდა ხოლმე ბაკურიძის ოჯახს.

— მეტათ სიხარულის მზე ნუ ამოსვლია რევაზ ბაკურიძის ოჯახს, რაც ჩვენ მის გამოისობით სიხარული აღარ გვაქვს. ისე საუკუნოთ ჩასულა ეს მზე მისი ოჯახისთვის, რაეარც დღეს ჩასვენდა ზღვაშიო.

დათია კვესადეს მუშაობის დროს კვირაში ორი დღე ემართა ბატონისა და ამასთანავე, თუ დაჭირდებოდა, რთველზე ჭურებიც (ქვევრები) უნდა დაერეცხა. უწინ ძვირათ თუ შეხედებოდა მას ეს საქმე; ბაკურიძე თითქოს კიდეც ერიდებოდა დათიას და არ აწუხებდა, მაგრამ შვილის გაპარების მერე ბაკურიძეს რთველი ისე არ გადუხდია, რომ დათიას ბატონის ორი-სამი ქვევრი არ გაერეცხოს.

ერთხელ ძალიან ჭინჭულიანი შემოდგომა დადგა. რთველში რომ შევიდენ, წვიმას არ გადუღია. ამ დროს დათია გატიტვლებული ბატონის ორმოციან ქვევრში იდგა ჭ სარცხს უუხატუნებდა. მთელი ორი დღე მას ზევით არ აუხედნია. მესამე დღეს დათიამ კიდეც გაათავა ბატონის ქვევრის რეცხა და კიდეც დაჭკრა მას ისეთმა სიცივემ ტანში, რომ ძვალსა და რბილში გაატანა. მის კბილებს ძაგდაგი ვაჭქონდა, მთელ ტანში დაიმტვრა და მუხლები წაერთვა. მოურავმა ბატონს მოახსენა და მისი ნებართვით დათია შინ წავიდა. ის იყო და ის. დათია ჩავარდა ლოგინში, საშინელი სიცხე მიეცა და მეშვიდე დღეს სული განუტევა. ერთ დილას შესაძრწუნებელი კვილ-ჩხივილის ხმა მოისმა შორიდან სოფლის განაპირას. ბატონს მოახსენეს, საწყალი დათია მოკვდაო. ბაკურიძემ ჩიბუხი პირიდან გამოიღო და გულცივით უბძანა თავის მოურავს, წადი, ალაპისთვის ერთი კოდი პური მიეცეო.

ანასტასიამ, შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მუხლზე ხელი დაიკრა და წამოიძახა: — „ვთი ჩემთავს, ჩემო დათია, რა ერთგული ყმა იყავი! რალა ეშველევა შენ უბედურ როდამს, ნეტაი შენი პეტრიელა მინც გყავდეს შინაო“... ამ სიტყვებზე ანასტასიას ორი კუკური ცრემლი ჩამოგორდა ლაწევებზე. მან იმწამსვე უბძანა, ცხენი შეეკაზმათ, უნდოდა თავის გლეხის სატირლათ წასვლა.

გვრიტიამ რომ ეს გაიგო, სიხარულით შეხტა: „ახალი კაბა უნდა ჩაიცვა, სატირალში მიედივართო“. მართლაც, ანასტასია, საცა კი წავიდოდა, თავისი ქალიც დაყავდა ხოლმე, ალბათ იმისთვის, რომ ყმაწვილს ყოველფერი ენახა და თავიდანვე შეჩვეოდა დედის საქციელს.

როდამ კვესაური მეტათ გულ-დაჩაგრული შეიქნა ქმრის სიკვდილს შემდეგ, მაგრამ გაჭირვებამ ობლების პატრონის გული თითქოს ერთი ორათ უფრო გაამხნევა. თუმცა მისი ჩვიდმეტი წლის ვაჟი, პეტრიელა, ცოცხალი ჰყავდა, მაგრამ რა? გინდ მკედარი, გინდ შინ მიუსვლელო. ვინ იცოდა, პეტრიელა სად იყო და სად არა, ან რა მდგომარეობაში იყო?

შინ როდამს მხოლოდ ერთი ათი წლის ქალი დარჩა, რომელიც ფიჩხს თუ შამოუტანდა გარედან ცეცხლის დასანთებათ, თვარა სხვა არა შეეძლოდა. ტირილის დროს ანასტასიამ როდამ კვესაური ანუ-გეშა, ბეგარას აღარ გამოგართმევთ ორი წლის განმავლობაში და, თუ შვილი მოგივიდა ქალაქიდან, ჩემ ქმარს იმდენათ შევებრალე კერიე-ობლის თავს, რომ პეტრიელას ოჯახში დავიყენებთ, მარნის კლიტეებს ჩაებარებთ და შენ მაშინ სარჩო ჩვენი ოჯახიდან გექნებაო.

თვალცრემლიან როდამს ქალბატონის გულკეთილობაზე კიდევ უფრო აუჩუყდა გული და ტირილწუწუნით მოახსენა, — ღმერთმა შენი და შენი ქმარს ნუგეში ნუ მომაკლავს; მე, ჩემო ღვთისგან მოგზავნილო ანგელოზო, ამიკრიდან წყალწაღებული შევიქვნი, ამ უბედურებას ვეღარ ავიტან, მეც მალე წაყვები ჩემ უბედურ კაცს. მარტვა ამ უბედური ობლის თავს გავეღრებ, შენ გვრიტის სადღეგრძელოთ, ეს გამიზარდე და გამითხოვეო! — მოჰკიდა ხელი თავის გოგოს და ანასტასიას წინ დაუყენა; თვითონ როდამი კი მუხლებზე მოეხვია ქალბატონს და ცრემლებით დაულტო კბა.

— ნუ გეშინია, ჩემო როდამ, გული გაიმარე, ოჯახს მოუარე, მეზობლებიც შეგეწევიან და მეც შენი შემწე ვიქნებიო.

სატრლათ მოსულ გლეხებს ძალიან იამათ ასეთი გულკეთილობა ქალბატონისა და ერთხმათ შეჰქაძხეს: — ღმერთმა დიდი ღღე მოგცეს და თქვენი გვრიტია გაგიბედნიეროსო. ჩვენ, რაც შეგვიძლია, ყველაფერში მზათ ვართო.

— აბა, თქვენ იცით, ქერიე-ობლს რანა-რათ შეუწყობთ ხელს, — მიიქცა ანასტასია იქ მყოფ გლეხებისკენ, გამოემშვიდობა, შემდეგ მოითხოვა ცხენი, შეჯდა ზედ, გვრიტია კი ერთ მხლებელ აზნაურს წინ უნაგირის ტახტზე დაუსვა და წამოვიდა შინისკენ თავის ამაღით. გზაზე, რომ ბაეშს არ მოწყენოდა, ან შეწყუბება არ ევრძნო ტახტზე ჯდომით, აზნაური უყვებოდა მას სხვა-და-სხვა ამბებს ხან-და-ხან გვრიტია და მის უკან ცხენზე მჯდომარე ხლებული კიდევ ლილინობდენ სხვა-და-სხვა სიმღერებს. გვრიტის მეთათ უზაროდა ცხენით მგზავრობა, აზნაურის მარცხენა ხელზე იყო გადაწოლილი და წამის-წამ იძახოდა: — აჩუ, აჩუ! — თან ხლებულს თხოვდა, ცხენი გაეჩქარებინა შინისკენ.

VII.

როდამ კვესაურს ნახევარი წლის განმავლობაში მუდამ ღღე ტირილი და გოდება არ შეუწყვეტია. დილით რომ აღგებოდა, სახლს მიალაგებდა, შინა-

ურ ფრინველს გაძახებდა: „რრუ, რრუ, რრუო“ და კენკს დაუყრიდა, სამ ცხენის თავის ბატკნებიანა და ერთ ღორს ექვსი გოჭით გაატანდა მოსამწყესათ თავის გოგოს, რომელსაც ნახევარ კეცის ჭაღს უსაგდებდა. შემდეგ შემოტრიალდებოდა ეზოში, დაჯდებოდა დიდ კაკალ ქვეშ და დაიწყებდა მაღალი ხმით მოთქმით ტირილს. მისი კრიალა ხმა შორს ისმოდა და მეზობლებს გულს უთუთქავდა სამწუხარო ამბების მოგონებით. სულ უბრალო წერიმალა შემთხვევაც კი არ დარჩენია ქმრის სიცოცხლეში, რომ ტირილის დროს არ გაეხსენებინოს. მეტათ სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე, როცა კვესაური მწუხარე მოთქმით, თითქოს გულსაკლავათ მღერისო, მოჰყვებოდა დათიას ჭურის რეცხას, ბატონი რომ გაჯავრებოდა და სამი ღღე ჭურიდან აღარ ამოეშვა წმინდა ჰაერზე სულის მოსაბრუნებლათ. მისი ცოდვით მეზობლები სულ ცრემლით იღვრებოდნენ. ხშირათ გამეღელ-მგზავრებს მისი საცოდავი მოთქმა რომ სმენიათ, წამოუძახნიათ, ვინ არის ეს უბედური, ასე მწუხარებით რომ მთა და ბარს შეტრისო. მის გაჩუქებას არა ეშველებოდა, სანამ არ მოილაგებოდა; მერე ერთს კიდევ ჩაიკურუსუნებდა „ვაიო!“ — შეწყვეტდა ხმა-მალლა ტირილს და ბოლოს ისევ შეუდგებოდა საქმეების კეთებას. სადილს უკან, სამხრობისას, ხელმეორეთ გაიშლიდა თმას და კვლავ მოჰყვებოდა საცოდავი ხმით გოდებას. ყოველ გამოთქმულ აზრს დასტალუღათ „ვაი“, „ვაი“-ს დაატანდა. გულიდან ამოხეთქილი მისი მწუხარება მეზობლებს რაღაც უნუგეშოთ გადაქცეოდათ, ასე რომ იმ ნახევარ წელიწადს მთელი სოფელი როდამის საცოდაობით გლოვის ზეწარში იყო გახვეული.

აღარც სიმღერა, აღარც სიცილი არსად ისმოდა. წლის თავზე როდამ კვესაურმა ისევ დაბატიჟა მეზობლები და საბოლოოდ გამოიტირა თავის მიცვალეული. მართალია, მთელმა სოფელმა გადასახურავე გაუგზავნა, ვინ ნამუშევრით შეეწია, ვინ შინაური პირუტყვით, ფულათაც შამოუვიდა სამ თუშან ნახევარი, მაგრამ მიცვალეულის ხარჯი მანც კვესაურის ოჯახს ერთი ორათ მოუვიდა. ერთათ ერთი მეწველი ძროხა დარჩენოდა თავის ხობიანა და ესენიც თავის ქმრის სულის საოხათ შეეწირა. მოგეცათ სიცოცხლე, მისმა მეზობლებმა მათი გემო ნახეს!

ასე იყო სოფლის ადათი; დათიას ქერიეი რომ ასე არ მოქცეულიყო, მერე სიხმრებში მოჩვენებას როგორღა გადურჩებოდა, დათიას აჩრდილი აღარც ღღე მოახსენებდა და აღარც ღამე, სულ ყურში უწივლებდა შემდეგ სიტყვებს: „ღდაკაკო, მაგას მოველოდი შენგან, რომ საიქოს შიმშილით მომკლავდიო!“ ეს იყო მიზეზი, რომ როდამს ამას შემდეგაც

ყოველ კვირა დღეს საყდარზე საკურთხი მიჰქონდა, ერთი ცხრა პური, ერთი ქათამი და ერთი დოქი ღვინო. შობას, აღდგომას და მარობას ქათმის მაგიერათ ცხვარი უნდა დაეკლა და ღვდელს იქიდან ყოველთვის სათბილო და სამი ნეკნი უნდა რგებოდა. ამას გარდა, რაკი ღვდელი საკურთხს უკურთხებდა, იქვე საყდართან ჩაუჯდებოდა და კარგა-ლაზათიანათ შეექცეოდა მეზობლებთან ერთათ პურით, ხორციით და ღვინით. ამისთანა ტრაპეზზე სხვებიც იქ დამსწრე თავის საკურთხებს ერთათ შეაერთებდნენ და ღვდლის მეთაურობით ღვინით ჩამოლოცვასაც გამართავდნენ. სადილს უკან ღვდელი მიტანილი საკურთხების ნარჩენით ორ დიდ ხვირჯინის თვალს გაიფსებდა, გადაკიდებდა თავის ცხენს, ჩერე ზედ შეჯდებოდა, საფე ხვირჯინის თვლებზე ანაფორის კალთებს გადაიფარებდა და ასე ჩაქვირითებული მივიდოდა შინ, სადაც მისი პაწია შვილები თამაშით და მღერით მიეგებებოდნენ:

„ბაბია აგერ მოდის,
თავის ანაფორითაო,
ცხენს ხვირჯინი უკიდია,
გავსებული ტაბლითაო.“

წელიწად - ნახევარი ისე გავიდა, რომ პეტრიელას თავისი ოჯახის უბედურება არ გაუვია. როდამ კვესაური ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რამენაირათ შეეტყობინებინა ის შვილისთვის, მაგრამ არ იქნა, კაცი არ შეხვდა ახლო-მახლო სოფლებში, რომ თფილისქალაქს გამგზავრებულიყო. ბოლოს, როგორც იქნა, ორ წელს შემდეგ ერთი მეზობელი კიდევ გადაფარდა ქალაქს ბაკურიძის შევიწროების გამო. იმას ენახა პეტრიელა თფილისში რე ეთქვა მამი მისის სიკვდილი. ბევრი ცრემლი ღვარა პეტრიელამ მამის შეცნალებაზე, მაგრამ რაღას უშეველიდა. მაშინვე გადაწყვიტა შინ დაბრუნება, რომ ქვრივ დედას, ყოველ მხრით შეწყუბუნებულს და ხელაღუპკრობელს, საჩქაროთ მიშველებოდა.

ის მდგარიყო თფილისს ერთ სოფდაგარის სახლში შინაურ მოსამსახურეთ. პირველში იმას მარტო აცმევდნენ და ახურავდნენ, სხვა ჯამაგირს არას აძლევდნენ. პეტრიელა ძალიან ცქვიტი და ცოცხალი გონების ბიჭი გამოდგა; იმ უბანში, საცა მისი ბატონი იდგა, დიდი და პატარა პეტრიელას იმერელ ღვითაკლას ეძახოდა. ამ იმერელ ბიჭს დილით ადგომას ვერაინ მოასწრებდა; გაიღვიძებდა თუ არა დილა აღრიანათ, მაშინვე მტკერიდან წყალს მოიტანდა თუნგულით, სახლებს დახვეტდა, ოთახებს მილაგებდა, შემდეგ ბატონებიც გამოიღვიძებდნენ და თურნეში

გავზავნიდნენ ბუბლიკებისა და ხაჭაპურების საყიდლოთ უნდა გვეყურებინათ მისი „ორი-ნანას“ და „ორი-დელას“ ხმა! ნურც გინახავთ კარგი მგალობელი შაშვი, ის რომ ხმას არაკრავებდა! იმ ქუჩაში ყველას მისგან დილის ძილი ჰქონდა დაფთხობილი... ბოლოს ისე მიეჩვიენ მის სიმღერას, რომ სანამ პეტრიელა დილით თავისი ზარივით წკრიალა ხმით არ გამოიბენდა, იმ უბნის ხალხი არ ადგებოდა. დედა შვილს რომ გააღვიძებდა წამოსადგომათ, ეს უკანასკნელი პასუხათ ასე ეუბნებოდა: თავი დამანებე, ჯერ იმერელ ღვითაკლას არ ჩამოაურბენია, მისი ხმა არ გავიგონიაო.

პეტრიელა ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის რომ გახდა, ქალბატონს მეტათ შეუყვარდა და დაუწყო განებიერება. როცა მისი მეუღლე ვაჭრულ საქმეებისთვის საღმე შორს გამგზავრებოდა, ქალბატონი პეტრიელას ზალაში აწვევდა ხოლმე თავის საწოლოთახის გვერდით იმ მიზნით, ეთომც ოთახში მარტო ყოფნა მეშინიაო. ქალბატონის მფარველობა პეტრიელას ძალიან დაეტყო; თვით პეტრიელაც ერთი ორათ უფრო მხიარული, ხუმარა და უკმენი ბიჭი შეიქნა. ქალბატონი ისე არსად წავიდოდა ფაეტონით, თუ პეტრიელას ბუზმენტიანი ჩოხით, თეთრი ცხვრის კრაველიანი ქუდით და გაკრიალებული პოლსაპოქებით ფაეტონის წინ საჯდომზე ქუჩრის გვერდით არ დაისვამდა. ერთხელ სამ თვეს დაავიანდა სოფდაგარს სხვა ქვეყანაში; შინ რომ მოვიდა, ახირებული ცვლილება ნახა ოჯახში: პეტრიელა მეტათ სუფთათ და მდიდრულათ ჩაცმული დაუხვდა, ქალბატონიც ერთობ ხშირათ დაიარებოდა ფაეტონით სასეირნოთ; თვითონ პეტრიელაც რაღაც გაამაყებულიყო. სოფდაგარი რომ მოვიდა, მეორე კვირას რაღაც შარი აუტენა პეტრიელას და გასალახავათ მიიწია ბიჭზე; პეტრიელა ძალიან ამაყათ შეხვდა. ამისგამო ის განაძევეს ოჯახიდან. თუმცა სოფდაგარის მგულლე ერთი დღე ქმართან შემომწყრალი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც მათ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა. სოფდაგარმა პეტრიელას შინაური ავეჯეულობის დაკარგვა მოახვია თავზე და მისაცემი ჯამაგირი გაუნახვერა. თუთხმეტ წლამდის პეტრიელას კაპეიკი ჯამაგირი არ ეძლეოდა. თუთხმეტის რომ გახდა, მერე სოფდაგარმა დაუნიშნა წელიწადში ოთხი თუმანი, ისიც ქალბატონის მეოხებით; ორი წლის ჯამაგირი სულ შეადგენდა რვა თუმანს; მაგრამ რაკი დაკარგული ნივთების ზარალი უანგარიშა, რვა თუმანი ოთხ თუმანზე დაუყენა, ისიც დიდი დამადლებით მისცა და გამოისტუმრა. პეტრიელას სოფდაგარის ჯაგრი ჩაყვა გულში. ნაწილ-ნაწილათ რომ აეკუწა, არ ენადვლებოდა, მარა ქალბატონი ენანებოდა და მისი სი-

ყვარულით აღარა გაუბედნარა. მოშორდა ამ ოჯახს მეტათ დანაწებული და გულატირებული. მალე მას გრძნობათა ღელვა აუტანელ მწუხარებათ გადაექცა.

ბ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ხ მ ა შ ო რ ი დ ა ნ .

I.

(„ჩა კუყუათ ფუფს“).

მაზე უარესი არაფერია, როცა კაცს ქონება აქვს და არ იცის კი როგორ მოიხმაროს. ასეთი მდგომარეობა იშვიათია, მარა მანც მოხდება ხოლმე ცხოვრებაში და, აი, ამისთანა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა.

ერთხელ ისეთი საგმირო საქმე ჩაიდინა ამ წოდებამ, რომ ქვეყანა გააკვირვა ჩვენ დაწერიმალებულ საუკუნეში: ყმებში აღებული ფულით დაიარსა თფილისში და ქუთაისში სათავად აზნაურო ბანკები. ასს უძახის „ივერიის“ მეთაური „სასიქადულო თავან-წირულებას“. ჩემის აზრით კი თავად-აზნაურობა ცდილობდა გამოენახა ისეთი რამ მანქანა, რომელსაც შეეძლო მისი უბედურების შემსუბუქება; ასეთ მანქანათ იცნო მან საადგილ-მამულო ბანკი და დაიარსა კიდევ. თავდაპირველათ ძალიანაც პოეწონა და ისარგებლა ამ მანქანით, მაგრამ ქართველურათ: დააგირავა მამული, გამოიტანა ფული და შეუდგა, დროებით შეწყვეტილ, „პარიპარალოს“ მღერას; ის კი დააეწყდა, რომ ბანკი სარგებელს თხოულობდა; ამ ქეიფში დაუნიშნეს „ტორგი“ და მისი მამული მისდა უკათხავათ გადვიდა სხვა წოდების ხელში, ზოგი სომხის და ზოგი ქართველ ჩარჩ-ვაჭრების. თავად-აზნაურობამ ამოიფშენიტა თვალები, მარა გვიანდა იყო. ახლა კი შეიტყო, რა ყოფილა მისი მანქანა, შეიტყო რომ ამან დააქანა წარჩინებული წოდება თავდაღმართისკენ, მარა რას უშველიდა წამხდარ საქმეს, თუნდ ბევრიც ეყვირა და ეტირა. შეაფურთხა თავის პარამოს და სახელმწიფო ბანკისკენ გაექანა. ბევრა ეხეწა „შენი კურთხეული კალთა მეც გაღმომათარე, მეც მიმიღე საფარეელსა ქვეშე შენსაო“ და ამანაც შეუღმინა: დააარსა თავისი განყოფილება. ვალიც ბლომათ გამოსცა (მიწას დიდფასში ღებულობს) და ბევრი მამული მიიბაჩა. აზნაურობამ ფულები აიღო და ჩაიციხა გულში: „ახლა კი აღარ გაფულანგავო“. ჩაიწყო ჯიბეში ფული და... და უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწვეო — ისე დაემართა: რალაც საეშმაკოთ, თითქოს ჩვენ დასაღუპავათ,

ყველა ბანკები ქალაქშია, სადაც ცხოვრება დღეს და გაღმოდულს და ხომ იცით ჩვენი ხასიათი: მეორეთაც ჩაითრია ცხოვრებამ; ფულები შემოაქამა და მერე, „კალიასკებს“ ნაჩევი, ფხით, დაფლეთილი წულებით გამოისტუმრა სოფლისკენ. აქ ზოგიერთს მჭადიც აღარ დახვდა და ბარე ორმა წვრილფეხა საქონლის „უკანონოთ შეძენასაც კი მიჰყო ხელი.

ამ დროს გამოვიდა განკარგულება: დაუბრუნეთ დამფუძნებლებს თავისი ფულიო. „იმე, ვაჟო! აგი კაია, შენ ნუ მოუყედე ჩემ თავსო, გაიფიქრა ჩვენმა დარბაისელმა; „ვერც კი წარმოვიდგენდი თუ ის ფული ჩემი იყო, რაცხა მამაჩემს დაუტოებია, კაცო. ბაღნებს მანც ჩავმოსავ, მეც ჩოხას გამოვიცვლიო“. გამოსწია ქალაქისკენ ფულის ასაღებათ და... „შედექ, რას როშავო!“ — მოაძახეს გულის შემატკივარმა კაცებმა. „ღღეს კაცი სწავლით არის ქვეყანაზე, ჩვენც უნდა ვისწავლოთ: ხომ იცი სწავლა სინათლეა — უსწავლელობა სიბნელე; არც ერთი ჩვენგანი არ იკადრებს ამ ფულის უკან გამოტანას, იგი მთლათ სწავლა-განათლების საქმეს უნდა მოხმარდესო“. ამ დროს „ივერიაშაც“ გამოაცხადა: ჩვენ სიამოვნებით ვუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებს ამ კითხვის გამოსარკვევათ წარმოგზავნილ წერილებსო; მე კი ჯერ არ მაქვს ჩემი აზრი; არ ვიცი რას მოხმარდეს და როგორ დაიხარჯოს ეს ფულიო და სხ. არც ასეთი მდგომარეობა უკეთესი: იქ ფული აქვთ და არ იციან რა უყოფ, — აქ გაზეთები და არ იციან, რა წერონ! დიაღია საკვირველება ბუნებისა! ჩვენმა დარბაისელმა სტუმრებს დაუთმო თავისი ფურცლები ჭ ჩვენც ამათ გავყვეთ, თვარა მასპინძელთან ძილი შემოგვეპარება ჭ ამ ძილში ფულებსაც გამოგვატლის ვინმე. ბ. ან. ფურცელაძის სურვილია, რომ ამ ფულებით განათლდეს მთელი ქართველი ერი, განურჩევლათ წოდებისა. ჩვენც ვეთანხმებით, განათლება კარგი საქმეა; წრფელი გულით თანაეუგრძნობთ მის სურვილს, მარა საჭიროა აგვიხსნას, როგორ შეიძლება საქმის მოწყობა. „თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი“ დიდი ფულია; მარა ჩვენი ქვეყნის სიბნელე რომ ციფრებზე გადიტანო, მტკვარი მელნათ არ გვეყოფა და დედამიწა ქალაღდათ. ამასთან შედარებით ნახევარი მილიონი ცოტაა, და რომელი კუთხიდან დაეიწყოთ ამ ბნელეთის ფარდის ახდა? მერე ჩვენ დაქსაქსულ დროში სწავლაც მრავალგვარია: უმაღლესი, საშუალო, უმაღბლესი; არის სწავლა საზოგადო-ჰუმანიტური, არის — სპეციალური; უკანასკნელში ირჩევა სამეურნეო, სატეხნიკო და სხვა. „რომელი გეჭირია? რომელი ჯობს?“ ანტ. ფურცელაძის აღძრულ კითხვას დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩვენი საზოგადოება, და არა ერთი წერილი

დაიბეჭდა „ივერიაში“. ამათში ჩვენ ყურადღებას იზა-
დავს ი. როსტომაშვილი და ვ. წ. ამათაც მოვეუსმი-
ნოთ, ესენიც ხომ მართლ-მორწმუნე „ივერიელები“
არიან, და ორივე ან ბანკირებია, ან ბანკირობას ფი-
ქრობენ. ორივეს ბანკების დაარსება უნდათ, ორივე
შეთუთუებია ბანკების დამფუძნებელთა ხელიდან ჩა-
მორთმევას და გაიძახიან: „ბანკები წაგვართვეს, მარა
ამ ფულით ისევ ბანკები დავიარსოთო!“

ამაშა მათი მსგავსება. განსხვავება კი შემდეგ-
შია: პირველს (როსტომაშვი.) უნდა საზოგადო, წო-
დებათა განურჩევლათ, სამაზრო ბანკები დააარსოს,
უსათუოთ მაზრებში, ჩანს, ეშინია, კიდევ არ ჩაით-
რიოს ქალაქმა ჩვენი ქართველი; მეორეს უფრო მო-
წონს წოდებრივი პრინციპის დაცვა და ურჩევს თა-
ვად-აზნაურობას, დაიარსონ წოდებრივი „სამელოცა-
ციო“ ბანკები. პირველი ბანკების დანიშნულება ვერ
გავიგეთ, მეორე კი თვითონ გვიხსნის: „ამ ბანკების
დანიშნულებაა ადამიანის და აყვავის (გაიკონეთ!) ჩვე-
ნი დაცემული მეურნეობა, თავად-აზნაურთა მიწაზე; სე-
სნი გაიცემა პირობით: სამეურნეო ტენიკა უნდა
გაუშვობდეს მსესხებელმა; ყოველთვის საჭიროა
საგანგებო აგრონომის ნებართვა და დასტური“. ამით
გვექადის ბ. ვ. წ. საზოგადო მეურნეობის წინაწივეს
და გლენებსაც ანუკეშებს, ეს თქვენთვისაც სასარგე-
ბლო იქნებაო. ამას რა აჯობებს, არც მწვადა იწვის
და არც შამფური: აზნაურობა თავის ფულს თითონ
მოიხმარს, და გლენებიც ისარგებლებნო! მეშინია
კი, ვერც ერთმა ვერ ისარგებლოს. მართლა, თუ
რამდენიმე ბანკი დავიარსეთ, ყველას ხომ თავისი გამ-
გეობა უნდა, თავისი აგრონომი, და ესენი უსასყიდ-
ლოთ ხომ არ გვემსახურებიან, და აბა, იფიქრეთ,
ორი ბანკის გამგეობისათვის ვერ გავგიძლია, ყურ-
თა სმენა წაიღეს, სულ იმას გვაყვედრიან: „თქვენი
სიყვარული და საზოგადო სამსახური, თვარა რას ვი-
ღებთ თქვენგანო!“ ამასთან, სექცეოა ორი გაკვეთი-
ლი ეყოლს ჩვენ აზნაურს და „სამელიორაციოთ“ გა-
მოტანილი ფულიც ძველ გზას არ გაუყენოს! ესევე
იტქმის ბ. როსტომაშვილის ბანკებზეც.

ამით მიხდოდა გამეთავებია, მარა ფულზე ლა-
პარაკს ცხოვრებაშიაც არ აქვს დასასრული, და მეც
მეძნელება: მეტი სატრფიალო საგანია. ასე გაშინჯეთ
ჩვენ „ახალ ხაზინას“ ჩვენი ახალი თაობაც კი დაუ-
ინტერესებია, ამათთვისაც აუშლია საღერღელი, და
ამათაც წარმოუდგენიათ პროექტები ჩვენი წინამძღო-
ლებისთვის. ფული არა აქვთ და ფულზე მაინც ილა-
პარაკონ! ერთი ჯგუფი თხოულობს ამ ფულებით
მოზარდი თაობა ეგზავნოთ საზღვარ გარეთო.

აქედან ხედავ, მკითხველო, როგორ სეტყვასავით

მიყარეს ჩვენ აზნაურს პროექტები, და ჯერ კიდევ
რამდენი მოეღოს. სულ ერთი მეორის მჯობია, და
საკვირვლათ წააგავან ერთმანეთს თავისი გამოურ-
კვევლობით; ყველას თავისი მოწონს, ყველა თავი-
სას აქებს და სხვისას კი არც ამჩნევს, კრიტიკის და
მსჯელობის ნასახიც არსად არის. ამ გადახლართულ
პროექტებისაგან გამორკვევა ჩვენი თავად-აზნა-
ურობისა მეტათ მიძიმე საქმეა; მე მსურს დავებმარო
და ამიტომ ვურჩევ, ეს ფული უნივერსიტეტის და-
საარსებლიათ გადიდვას. მართლა, რამდენი ხანია, თფი-
ლისში უნივერსიტეტის დაარსება გვინდა და აი, მარ-
ჯვე დროც, თუ სომხების არ შეგვეშინდა! თუ ეს
არ იქნება, მაშინ კი უმჯობესია პირველ დაწეებითი
სწავლის გავრცელებას მოვანხაროთ ეს ფული; ეს
არის ჩვენი უწმინდესი და უპირველესი საჭიროება;
ამას მივახარჯოთ ჩვენი ენერგია და ჩვენი შეძლება,
თუ მართლა საზოგადო ინტერესებით ვართ გამტყა-
ლული! 1)

ნ. ლაზი.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერა-
ტურა 1898 წელს.

(დასასრული *)

მარშანდელ კვალში იყო კ. გოგოლაძის ლექ-
სები; ამ პოეტის ფიზიონომია ჯერ ჩვენთვის გამო-
ურკვეველია, მისი ნიჭი ჯერ რყევაშია; რა გახდება
მომავალში მისი პოეზიის ფოკუსათ-არ ვიცით; ხო-
ლო მასაც სევდა და უნუგეშობა აღეღებებს და თან-
და-თან ირკვევა, რომ ამ სვედის მიზეზი დღევანდელი
ცხოვრების ბევრი უნუგეშო მოვლენებია. შემცდარი
იქნება იმისი თქმა, ეთომ კერძო ადამიანის სული-
ერი განწყობილება მართო საზოგადოებრივი ცხო-
ვრების ნაყოფი იყოს; ხშირათ ადამიანს ეწევა სხვა
და სხვა უბედურება, რომლებსაც სოციალურ პირო-
ბებთან არავითარ კავშირი არა აქვს, და ეს უბე-
დურება აღმოუფხვრელი კვალს ტოვებს მის სულში,
მაგრამ კერძო პირობები ვერ დაბადებდა ევლოში-
ლისა და არაგვისპირელის არსებაში ასეთ უნუგეშო-
ბას და სასოწარკვეთილებას, რომ ჩვენი დღევანდელი
ცხოვრება არ გამხდარიყო ამის უმთავრეს მიზეზათ.
ზოგიერთ ხანაში რომ ამგვარი მწერლები მჩაეღლებდა,

1) ეს სრულიად არ დაუშლის იმას, რომ ამ ფუ-
ლის ერთი ნაწილი საზღვარ-გარეთ მოსწავლეთა სასარ-
გებლოთ და მომავალ საქალბო სკოლისთვის გადიდვას.
რედ.

ის. „კვალი“ № 6.

ზოგიერთ ხანაში კი სულ არ არის, ეს საკმარისი სა-
 ბუთია ვიფიქროთ, რომ უმთავრესი მათი წარმო-
 შობი მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრებაა. ადა-
 მიანი და მით უმეტეს ისეთი მგრძობარე გულის და
 სპეტაკი ნიჭის, როგორც პოეტი, თუ თავის კერძო
 ცხოვრებაში უბედურია, უნუგეშობას და სასოწარ-
 კვეთილებას თავის ღრეში არ დემორჩილება, თუ
 გარეშე ცხოვრება ანუგეშებს და იმედს აძლევს. ის
 ფიქრობს: მე უბედური ვარ, მაგრამ ეს სრულიად შე-
 მთხვევის ბრალია; აგერ უმეტესობა ბედნ-ერია, მაშა-
 სადამე საზოგადო ცხოვრების სამღურაფი არაფის არ
 გემართებსო, ეედოშვილსა და არაგვისპირელს თავის
 ნაწერებში აეტობიოგრაფიული ძალიან ცოტა აქვსთ,
 ისინი საზოგადო ჭირ-ბოროტებას უჩივიან, საზოგადო
 სევდა-ვარამს გამოთქვამენ. აშკარაა, მათი ფიზიონო-
 მისი ახსნა ისე ცხოვრებაში უნდა ეეძიოთ. ამაგარი
 მწერლები, როგორც ეედოშვილი, არაგვისპირელი,
 შარტო ჩვენში კი არა, რუსეთში და დასავლეთ ეე-
 როპაშიც გამრავლდენ. აიღეთ მაგალითათ რუსეთის
 პოეტი, ბალმონტი,—მისი პოეზიის მოტივი იგივეა,
 რაც ეედოშვილის. რამ წარმოშობა ეეროპაში ასეთი
 მწერლები? რამ წარმოშობა ჩვენში? დასავლეთ ეე-
 როპის ლატერატურაში კარგა ხანია, ხშირათ ვაისმის:
 საუკუნეს ბოლო, საუკუნეს ბოლოეო, და ბევრგვარ
 მოეღენებს ამ „საუკუნეს ბოლოთი“ ხსნიან. რა არის
 ეს საუკუნეს ბოლო? აი რა: კაპიტალისტურმა წყო-
 ბილებამ დასავლეთ ეეროპაში ეს არის უკანასკნელ
 წერტილს მიღწია, მძლავრათ გაეფითარა დასავლეთ
 ეეროპის მწარმოებელი ძალა, წარმოშობა მრავალი
 უთანხმოება და დიდხანს სიარული თავის გზით აღარ
 შეუძლია. უთანხმოება თან-და-თან იზრდება; მისი
 მოსპობა თვით კაპიტალიზმს არ ძალუძს, რადგანაც
 მან წარმოშობა და მანვე გაზარდა ეს უთანხმოება.
 აშკარაა, თვით კაპიტალიზმს უნდა მოეღოს ბოლო,
 მუშათა მოძრაობამ და სხვა და სხვა „სოციალიზმში“
 უკვე დარეკა მისი აღსასრული. დღეს ეეროპა გარდა-
 მავალ ხანაშია. საქართველოში, როგორც დაკვირვება
 და ლიტერატურა გვიმტკიცებს, უკვე ჩინეს თავი იმ
 ელემენტებმა, რომლებმაც დასავლეთ ეეროპაში კაპი-
 ტალიზმი წარმოშობეს; ცხოვრება შეირყა, წოდებრივი
 სამხლერები წაშალა, ფული გაბატონდა; ფულის
 პატრონი ხდება ის, ვისაც საკუთარი მოხერხება და
 ცხოვრება ხელს უწყობს, და ამიტომ დღეს ჩვენში
 ცხოვრებაც მისია, ვისაც ფული აქვს, მიუხედავთ
 წოდებისა. ფულის ქონება წლებზე ქონის დახვევას
 კი არ მოასწავებს მართო, არამედ მეტი ცოდნის
 შეძენასაც; გამდიდრებული გლეხები ჩვენში შეიღებს
 სასწავლებელში ზრდიან, მაშინ როდესაც თეად-ახნა-
 ურების შეიღები სიღარიბის გამო ხშირათ უსწავ-

ლელი რჩებიან,—ამ ფაქტმა ჩვენ ბელლეტრისტისტი-
 კაშიც კი იჩინა თავი. ცხოვრება აიძლერა, გაჩნდენ
 ჩარჩები, მეგახშეები,—ყველა ესენი ხომ კაპიტალიზმის
 წინამორბედი არიან. აშკარაა ჩვენი ცხოვრების რყევა
 ნიადაგს უმზადებს იმგვარ ცვლილებას, როგორც
 უკვე განეფითარდა დასავლეთ ეეროპაში. მაშასადამე
 ჩვენი ცხოვრებაც გარდამავალ ხანას წარმოადგენს,
 რასაკვირველია, ეეროპის გარდამავალი ხანა სულ
 სხვა არის, ვიდრე ჩვენი: მან კაპიტალიზმი განეფითარა
 და მარკსის მიერ ნაჩვენებ მიზანს უახლოვდება, ჩვენ
 კი ნამდვილ კაპიტალიზმს ახლა ვუღებთ კარებს; მა-
 გრამ ყოველი გარდამავალი ხანა, რანაირიც უნდა
 იყოს, ხალხს ძალიან მძიმე ტვირთათ აწევბა. ყველა
 გრძობს, რომ ცხოვრებაში რალაც ცვლილება ხდება,
 ეს რა მოეღის, არ იციან, ამ მომავლისა ყველას
 ეშინია; ამგვარ ხანაში მრავლდება გაჭირვებაც, უბე-
 დურებაც და ყოველ გვარი ჰუმანური გრძობა სა-
 ზოგადოებაში სუსტდება: შინ რომ ბავშვებს შიოდეს,
 გარეთ ტაბლას რა უნდაო, ნათქვამია, —როცა ადა-
 მიანს თავისი გზა ვერ გაურკვევია, მაშინ არც სხვის
 გაჭირვებაზე ფიქრობს. პოეტს უფრო მგრძობარე
 გული აქვს, ვიდრე სხვას; ის მეტს ხედავს და უკეთ
 არჩევს ცხოვრებაში ყოველივეს; ამიტომ ყოველი
 გარდამავალი ხანის პოეტი უფრო იტანჯება, მეტ
 უნუგეშობას და სევდას ეძლევა, ვიდრე უბრალო
 ადამიანი. ეედოშვილი, არაგვისპირელი, გოგოლაძე-
 თუ საზოგადო ჭირ-ვარამზე გეფითებენ და თავის
 უნუგეშობას გეცხადებენ, გასაკვირველი კი არა,
 ასეც უნდა იყოს: ისინი გარდამავალი ხანის შეიღები
 არიან და არ შეუძლიათ, არ იტანჯონ. რაც მეტი
 ნიჭი აქვს მწერალს, მით უფრო საუკეთესო გამომე-
 ტყველია თავისი თანამედროვე ცხოვრებისა.
 თავის უკანასკნელ მოთხრობაში „თოფის სრო-
 ლაში“ ბ. გიორგი წერეთელმა აღნიშნა ჩვეულებრივი
 სინამდვილით, თუ როგორ დაწერაღმანდა იმერეთის
 ახნაურობა; მეგობრულათ ცხოვრების მაგიერ იმის
 მეცადინეობაში არიან, რომ ერთმანეთს რამე აენონ.
 თუ ყანაში ერთი მეორისას რასმე შეასწრებენ, ხოცენ;
 ერთიმეორეს დასაწევათ არ ზოგავენ. რამ გამო-
 იწეია ასეთი მტრობა და შური მათ შორის? გაღარი-
 ბებამ: ორივეს ერთათ ერთი მრჩენელი მიწა; მიწა
 კი შემოაკლდათ და ამიტომ ყოველ სიმიდის ძირს
 უფრთხილდებან, რომ კუჭი გამოიძღონ. რადგანაც
 მეზობელს მეზობლის ღორმა აწ საქონელმა რომ
 არაფერი წაუხდინოს ყანაში, შეუძლებელია, ამიტომ
 მტრობაც აუცილებელი ხდება.
 აკაკის კრებულის შესახებ ჩვენ არას ვამბობთ.
 ამიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გექონდეს,
 —სათქმელი ბევრია, მაგრამ ჩვენი მიზანია, აღნი-



შნით მხოლოდ წარსული წლის ხელოვნური ლიტერატურა და ამოვიკითხეთ მასში ცხოვრება. აკაკის კრებულში გარდა რამდენიმე ლექსისა პოეტის წინანდელი თხზულებანი იყო მოთავსებული; მათი გარჩევა კი უფრო შესაფერისი იქნება მისთვის, ვინც აკაკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობის დათვას შეუდგება. დაგვიჩა მამბე, მაგრამ ორიგინალური სიტყვაკაზმულობით შარშანდელი მოამბე ძალიან ღარიბი იყო. წარსული წლის მოამბეში საუკეთესოთ მიგვაჩინა დ კლდიაშვილის „მრეცლში“; ამ სურათის შესახებ ჩვენი აზრი თავის დროზე გამოეთქვით (ივერია 98 წ. № 63). მხოლოდ მოკლეთ შევნიშნავთ, რომ კვალის ბიბლიოგრაფმა (კვალი № 6) ეს სურათი შეცდომით აკვიხნა და დედაზრათაც სრულებით სხვა მიიღო.

შარშანდელ მოამბეში იყო ორი კომედია: ერთი აზიანისა, ერთიც დუტუ-მეგრელისა. პირველი „ინჯილერი ან დობტური“ ამოდებულია სომეხთა ცხოვრებიდან და მხოლოდ კარიკატურას წარმოადგენს. უმთავრესი მომქმედი პირები არიან: სალომე უზარნოვი და მისი ორი შვილი ინჯილერ — დობტური-ავეტიქა და გასპარა. ოდესღაც და სადღაც ერთი უნიჭო მხატვარი ცხოვრობდა; განიზრახა ლომის დახატვა და ბევრი შრომის შემდეგ, როგორც იქნა, დახატა, მაგრამ დახეთ მის უბედურებას: მისი ლომი ძალღს უფრო გავდა, ვიდრე ლომს! მხატვარს არც შრომის დაკარგვა უნდოდა, არც ის რომ მისი ლომი ძალღათ მიეღოთ; მალე საუცხოვო საშუალება გამოიჩინა თავისი ფქრით, სურათს მოაწერა: ძალკი არ გეგონოსთ, ლომიაო, და გამოჰკიდა! აზიანსაც, არ ვიცით რა მიზეზს მიიწეროთ, ამ მატყარსავეთ დამართნია, ამოურჩევია ავლბრელი კინტოების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მუშტი-კრივში ზორბა ბიჭები არიან, და ერთისათვის ინჟინერი დაურქმევია, მეორისათვის დობტური! დალოცვილო აზიანო, სახელი ხომ არ ახსიათებს ადამიანს?! თუ აზიანს თავის კომედიით უნდოდა, ეთქვა: შეხეთ, როგორია, სომხის ინტელიგენცია, მამ სწებები რაღა უნდა იყონო, დიდათ ცდება: არც ავეტიქას, არც გასპარას, სომხის ინტელიგენციის ტიპსა არა აცხიათრა. თუ ავტორს უნდოდა, ეთქვა: შეეთ სომხის ინტელიგენციაც კი ფულს ეძებს ყოველგან და ყოველისფერშიო, ნამდვილი ინტელიგენტები უნდა დაეხატა ჩვეთვის, რომ დავერწმუნებით. ავეტიქა და გასპარასთანა პირები რომ ავტორს ინტელიგენციაში ენახა, ყოველად შეუძლებელია, ჩვენ დაეთანხმებით, რომ ამათი მსკაცის რამ ნახა სომხის ინტელიგენციაში, — მხოლოდ მსკაცისი. მაგრამ მეტათ ვაბერა, გადაამხინჯა და ნამდვილი ცხოვრების მაგიერ

კარიკატურა წარმოგვიდგინა. სალომე უზარნოვის შესახებ ჩვენ ამას ვერ ვიტყვი, ამგვარი ქალები სომხობაშიც ბევრია, სხვაგანაც. სალომეს არ მოეთხოვება მეტი, ის არც ჩემობს ინტელიგენციის წევრობას. მაგრამ როდესაც ავეტიქა და გასპარა მუშტი-კრივში ერთი მეორეს ეცილებიან, ცოლებს დეში ათჯერ ურტყავენ რუსული დაღბანდევით, უშვერი სიტყვებით ლანძღავენ, დედამას აკინებენ; ცოლებს უმტკიცებენ ჩვენ თქვენი ბატონი ვართ, ხელები უნდა გეკოცნოთო და კიდევ ასრულებენ ამას, ათასი გვარწმუნოს ავტორმა: ესენი ინტელიგენტები არიან ინჟინერი და დობტურიო, ავლბრელი კინტოების ცნობა ძნელი არ არის.

დუტუ-მეგრელის კომედიის „სიკვილი და სიცოცხლის“ — პირველ ნახევარს დიდი სიხარულით მივევებეთ, რადგანაც მასში ნამდვილი ტიპები იყვენ დახატული: პლატონ ვარდიშვილი, ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც სურვილი აქვს, ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანოს; თავადის ქალი დარიკო, თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი.

კომედიის უმთავრესი ფოკუსი დარიკო და პლატონია. კომედიის მეორე ნახევარმა მოლოდინი გაგიცრუვა: აქ დარიკო და პლატონი სრულიად გამოცვალა და დაამახინჯა ავტორმა; მეორე ნახევარში ორივე პირი თითქმის ფარსს თამაშობენ მაჟორების წინაშე. აიღეთ მაგალითათ ის სურათი, სადაც პლატონი თავის მოკვლას აპირებს. ეს განა ის პლატონია, რომელიც ავტორმა პირველ ორ მოქმედებაში გაგეცნო?!-ის კი არ იტანჯება, მასხარაობს და თანაგრძობის მაგიერ სიცილს იწვევს. ბ. დუტუ-მეგრელმა კარგათ დაიწყო, ცუდათ გაათავა: დარიკოსი და პლატონის ხასიათი ბოლომდე ვერ დაიცვა. ასეთი მეტამორფოზის გამო მათი დახასიათება შეუქლებელია. დარიკო, რომელსაც ჩვენ ეხედავთ პირველ ორ მოქმედებაში, წარმოადგენს ქარაუშუტა კნაჟნას ტიპს; მისი ხასიათი და ბუნება ფუქსავატი აღზრდისა და ცუდი გავლენის გამო სრულიად დამახინჯებულია. ცხოვრებაში მისი ერთათ ერთი მიზანი მხიარულება, დროს ტარება და ლამაზი ქმარია. თავადების წრეს რომ აცილებოდა, დიდი რამ კი არ გამოვიდოდა, მაგრამ ადამიანურ ღირსებას ამდენათ არ დაჰკარგავდა; ახლა კი ის სრულებით დაღუპულია. თავადი ნესტორ ჯიქიაშვილი სუსტათ არის დახასიათებული; ის იმგვარივე ტიპა, როგორიც ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე (ჩვენი დროის რაინდი) და კლდიაშვილის აბესალომ სალამთაძე (ირინეს ბედნიერება). დარიკო და ნესტორი მთელი თავისი ხასიათით, მოქმედებით, მისწრაფებით გვიხასიათებენ ჩვენ განზრწნილ თავადობას, რომელსაც, დღეს არის თუ ხვალ, ბოლო

მოვლენა. სამწუხაროა ეს გარემოება? სამწუხარო ის არის, რომ თავადობა დღეს უმეტეს წილათ დარბაჯისა და იასონისთანა წეგრებს იძლევა, და, თუ ამასვე უკეთესი პირების მოცემა არ შეუძლია, რაც მალე მოისპობა, ის ჯობია.

თუ არ დაგვიწყდა, მკითხველო, ჩვენი მიზანი იყო შემდეგი: ამოგვეკითხა, წარსული წლის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში ჩვენი ცხოვრება, გავვეკო, რას გრძნობდა მწერალი და ხალხი, რამელსაც ის გვინატრებდა, და აღგვენიშნა, თუ რამედაკვიტოვა წარსულმა წელმა სიტყვა-კაზმული ლიტერატურაში სასიცოცხლო. ჩვენ მოკლეთ განვხადეთ, რაც კი რამ იყო საყურადღებო ჩვენ შარშანდელ ქურნალ-გაზეთების სიტყვა-კაზმულ ნაწილში და დავინახეთ, რომ ბელლეტრისტიკა მთელი წლის განმავლობაში გვინატრებდა ჩვენი სოფლის ცხოვრების ცვლილებას; ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ძველი სოციალური წყობილება იშლება, ახალ სოციალურ პირობებს ნიადაგი უმზადდება, ბელლეტრისტები თანაუგრძნობენ მათ, ვისაც ცხოვრებამ ტანჯულთა ხედრი მიუსაჯა, და ზიზლით უყურებენ მათ, ვინც გლეხის ცხოვრების დარღვევას ხელს უწყობს. ხალხი, როგორც ბელლეტრისტიკა გვინატრებს, გრძნობს, რომ მის თავზე რაღაც ამბავია, რომ დრო შეიცვალა, ისიც ის აღარ არის, რაც წინეთ იყო, და გამოურყვეველი მომავლის წინაშე დგას. ჩვენი შარშანდელი პოეზია, როგორც უკვე დავინახეთ, კანონიერი ნაყოფია იმ გარდამავალი ხანისა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, და ამ ხანის საუკეთესო დამახასიათებელია. თუ ბელლეტრისტიკაში გამოსჭვივს ერთის მხრივ სიბრალოლე, მეორეს მხრივ ზიზლი და სიძულვილი, პოეზიას ყველა ებრალება და ეცოდება, თუმცა მეტი სიბრალოლე აქაც ტანჯულისა და დარბაჯისაა არის. პოეზია ბუნდოვანად გრძნობს, რომ ჩვენ ცხოვრებას ცვლის და წყლულებს აჩენს რაღაც ძალა, რომელთანაც მას შებრძოლება არ შეუძლია, ამიტომ სევდითა და უნუგეშობით არის გამსჭვალული. სასიცოცხლო წარსული წლის სიტყვა-კაზმულმა ლიტერატურამ დაგვიტოვა: კლდიაშვილის „მრევლში“, ე. მ.—შვილის ზოგიერთი მოთხრობა, გრ. ცენტრალის „დესპინე და ნიკო“, ბებრიძის „რა მოუვა სოსიკას“, ევდოშვილის ლექსები და არაგვისპარკლის ეტიუდები. ე. მ.—შვილის შესახებ უნდა შევიწყნოთ, რომ მას თანატანია სუსტი აქვს, დაკვირვება კი კარგი. ამიტომ ის კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ჩვენ ცხოვრებას, შეისწავლოს ის და იქ ეძიოს ტემები თავისი ხელოვნებისათვის, უამისოთ მისი მოღვაწეობა უსარგებლო იქნება. ერთი შენიშნავს ევდოშვილს: რამდენათაც უფრო იფურჩქნება მისი პოეზია, პოეტი

რმდენათ უფრო გულჩახვეული და ფარული ამიტომ გვემინია, ვაითუ ხალხის ფარულათ, მოშორებით, სიყვარულის სურვილმა სულ მოწყვეტოს დედამიწას და სიმვლოლობის სამთაეროში გადიტანოს. ამის ზოგიერთ ნიშნებს უკვე ვხედავთ მის უკანასკნელ ლექსში „გელის სიმღერა“.

ივ. გამაჩთედი.

საქველ-მოქმედო საქმე

ჩვენ მივიღეთ სოფ. ანაგის მასწავლებელი ქალის ქ. ხ. ზაჩაფიშვილისაგან 20 მ. და 70 კ., შეკრებილი მის მიერ რუსეთში ერთი მოსწავლე ახალ-გაზდის სასწავლებლათ. ეს ფული უკვე გაგზავნა დანიშნულებისამებრ, ხოლო შემდგომში უნდა დაგვიღოს გაძო, სამწუხაროთ, ვერ ვსტამბავთ.

უცხო სიტყვების ახსნა.

მელიორაცია—მამულის გასუმჯობესებელი თავნი. ავტობიოგრაფია—თავის ცხოვრების აღწერა. ფიზიონომია—განის სასე. მოტივი—მიზეზი. ელემენტი—წილადი. ჰუმანური—განობრიული. მეტამორფოზი—გაალებადება. ტემა—საგანი. სანკცია—დადასტურება.

გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა

მ. ტ. მერვასოვისაგან:

მივიღეთ დიდი ზომით ცნობილი ფირმებისაგან გამოგზავნილი

საუკეთესო აბრეშუმის თესლი,

პასტერის სისტემაზე დაკვეთილი ჩვენგან: ფრანკოულის, იტალიური და ბალდათური. ვისაც სურს შეიძინოს ეს აბრეშუმის თესლი, მან უნდა მიმართოს: ქუთაისში, ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში, მერვასოვის ბინაზე და მმართველს ანტონ ანჯაფარიძეს; სოფელ ჩხენისში, ნიკო გლახუას ძე ბრელოძეს თავის საკუთარ სახლში; სამტრედიოში, სპირიდონ მელქაძეს; აბაშაში ალექსანდრე ანჯაფარიძეს.

ახას ვასაყიდი ბუფლის თესლები და ნერკები

ე. ტ. მერვასოვისა.

(2—2)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.